

**საქართველოს 2015-2016 წლების ეროვნული
ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების
პროგრესის შესახებ ანგარიში**

იანვარი-ივნისი, 2015 წელი

*მომზადებული პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის
საფუძველზე*

სარჩევი

შესავალი	2
I. კორუფციის პრევენცია.....	4
პრიორიტეტი 1. კორუფციის პრევენციის მიზნით ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია	4
პრიორიტეტი 2. საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია.....	7
პრიორიტეტი 3. ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.....	9
პრიორიტეტი 4. განათლება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით.....	11
პრიორიტეტი 5. კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა	11
პრიორიტეტი 6. კორუფციის პრევენცია მართლმსაჯულების სისტემაში	13
პრიორიტეტი 7. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციული რისკების შემცირება საჯარო ფინანსების და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში.....	16
პრიორიტეტი 8. კორუფციის პრევენცია საბაჟო და საგადასახადო სისტემაში	25
პრიორიტეტი 9. კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით	30
პრიორიტეტი 10. კორუფციის პრევენცია ჯანდაცვის და სოციალურ სექტორში	33
პრიორიტეტი 11. პოლიტიკური კორუფციის პრევენცია	35
პრიორიტეტი 12. კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში	36
პრიორიტეტი 13. კორუფციის პრევენცია დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებში	42
II. კორუფციის კრიმინალიზაცია, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა.....	43

შესავალი

კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის ხელშეწყობის, ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით 2015 წლის 20 აპრილს საქართველოს მთავრობის N170 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა.¹

ახალ სტრატეგიულ დოკუმენტებთან ერთად 2015 წლის 4 თებერვალს გამართულ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს („ანტიკორუფციული საბჭო“) სხდომაზე დამტკიცდა ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია მოიცავს სამ კომპონენტს: i) პროგრესის შესახებ ანგარიშსა და ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩარჩოს - *მზადდება 6 თვეში ერთხელ*; ii) მონიტორინგის ანგარიშს - *მზადდება წელიწადში ერთხელ*; iii) შეფასების ანგარიშს - *მზადდება ორ წელიწადში ერთხელ*.²

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების 2015 წლის *პირველი ექვსი თვის* შესრულების პროგრესის შესახებ ანგარიშს.

პროგრესის შესახებ ანგარიში

ანგარიშში ასახულია 13 სტრატეგიული პრიორიტეტის შესაბამისად სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სამიზნეების მიღწევის პროცესი, ზოგადი მიზნების მიღწევის კუთხით გადადგმული ნაბიჯები და მათთან დაკავშირებით გამოწვევები. ანგარიში მოამზადა ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი) პასუხისმგებელი უწყებებისგან მიღებულ ინფორმაციასა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებებზე დაყრდნობით.³

ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩარჩო

ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროგრესის შესახებ ანგარიშთან ერთად თითოეული პასუხისმგებელი უწყება ვალდებულია შეავსოს *ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩარჩო*. მონიტორინგის ჩარჩო წარმოადგენს წინამდებარე ანგარიშის დანართს. ჩარჩოში წარმოდგენილია სამიზნეების მიღწევის შედეგი⁴ და განხორციელების პროცესი,⁵ რომელიც პასუხისმგებელი უწყებებისა და ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ შესაბამისი რეიტინგითა და სტატუსით ფასდება.

¹ 2015 წლის 20 თებერვლის საქართველოს მთავრობის N170 დადგენილება „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

² ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია (2015); დამტკიცებულია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 2015 წლის 4 თებერვლის სხდომაზე.

³ ანგარიში მოიცავს 2015 წლის 1 იანვრიდან 25 ივნისის ჩათვლით ინფორმაციას.

⁴ სრულად შესრულდა; უმეტესად შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა; არ შესრულდა

⁵ განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა, განხორციელების პროცესი მიმდინარეობს, განხორციელების პროცესი შეჩერებულია, განხორციელების პროცესი შეწყვეტილია, განხორციელების პროცესი დასრულებულია.

I. კორუფციის პრევენცია

პრიორიტეტი 1. კორუფციის პრევენციის მიზნით ეფექტიანი უწყებათაშორის კოორდინაცია

შედეგი 1.1 ინსტიტუციურად გაძლიერებული ანტიკორუფციული საბჭო

ღონისძიება 1.1.1. ანტიკორუფციული საბჭოს (სამდივნოს) *ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით წინადადებების შემუშავება* სამდივნომ 2015 წლის მაისში დაიწყო, ხოლო დოკუმენტის პირველადი სამუშაო ვერსია მომზადდა ივნისში. წინადადებებს საფუძვლად დაედო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და უცხო ქვეყნებში არსებული მსგავსი ანტიკორუფციული უწყებების გამოცდილება.⁶ ანტიკორუფციული საბჭოს 2015 წლის ივლისის სხდომამდე აღნიშნული წინადადებები არასამთავრობო სექტორს შენიშვნებისა და კომენტარებისათვის წარედგინება.

ღონისძიება 1.1.2. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ორი თანამშრომლის სამუშაო აღწერილობა ანტიკორუფციული მიმართულებით განისაზღვრა. შესაბამისად, *ანტიკორუფციული სამდივნოს თანამშრომელთა* (რომელთა ანტიკორუფციული მიმართულებით სამუშაოს მოცულობა 80%-ია) *რაოდენობა* გაიზარდა და გახდა შვიდი.

ღონისძიება 1.1.3. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ 2015-2016 წლების *ტრენინგ-გეგმა* შეიმუშავა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები სახელმწიფო უწყებებთან დეტალურ ტრენინგ პროგრამებთან დაკავშირებით.

ღონისძიება 1.1.4. 2015 წლის ივნისს ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ *სამდივნოს საქმიანობის სახელმძღვანელო* განაახლა. ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის წარმართვის სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს ხელშეწყობას საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისა და ერთიანი პრაქტიკისა და მიდგომების დანერგვაში. სახელმძღვანელო მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სამდივნოს საქმიანობის ორგანიზება; საკოორდინაციო საბჭოს სხდომების ორგანიზება; სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ორგანიზება; ანგარიშების მომზადება; საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა. სახელმძღვანელოს შესახებ ინფორმაციის მიწოდება იგეგმება ანტიკორუფციული საბჭოსთვის 2015 წლის 10 ივლისის სხდომაზე.

ღონისძიება 1.1.5. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოამზადა სულ ცხრა *საერთაშორისო კვლევების ინდექსების მეორადი ანალიზი*. კერძოდ, კორუფციის აღქმის ინდექსი 2014 (საერთაშორისო გამჭვირვალობა), ბიზნესის კეთება 2015 (მსოფლიოს ბანკი), მედიის თავისუფლების ინდექსი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 2014 (აღმოსავლეთ პარტნიორობა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი), ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2014 (Heritage Foundation), თავისუფლება

⁶ Reference to be added..

მსოფლიოში 2015 (Freedom House), კორუფციული რისკების ინდექსი ბიზნესისთვის 2014 (Trace International), ღია მმართველობის ინდექსი 2015 (World Justice Project), კანონის უზენაესობის ინდექსი 2015 (World Justice Project), გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2014-2015 (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი). კვლევების ვებ-გვერდზე გამოქვეყნება ჯერ არ განხორციელებულა.

ღონისძიება 1.1.6. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

შედეგი 1.2 ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების გადასინჯვის პროცესი ინკლუზიურია, ხოლო შესრულების მონიტორინგი - ეფექტიანი

ღონისძიება 1.2.1. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 1.2.2. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ 2015 წლის დასაწყისში შეიმუშავა ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების **მონიტორინგისა და შეფასების ახალი მეთოდოლოგია**. მეთოდოლოგია დამტკიცდა ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე 2015 წლის 4 თებერვალს. ახალი მექანიზმი მოიცავს შემდეგ სამ კომპონენტს: i) პროგრესის შესახებ ანგარიშსა და ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩარჩოს; ii) მონიტორინგის ანგარიშს; და iii) შეფასების ანგარიშს.⁷ შეფასების ობიექტურობის და სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით, ახალი მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია შეფასებისას ეყრდნობა საერთაშორისო კვლევების და ინდექსების მონაცემებს, საერთაშორისო რეკომენდაციებსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ანგარიშებს.

ღონისძიება 1.2.3. ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, 2015 წლის პირველი ექვსი თვის მონიტორინგის ჩარჩო პასუხიმგებელი უწყებების მიერ შევსების შემდეგ მიეწოდა ანტიკორუფციულ საბჭოში შემავალ **არასამთავრობო ორგანიზაციებს კომენტარებისთვის**. რომელთაც შესაბამისი ღონისძიებების პროგრესი ასევე შეაფასეს. პროგრესის შესახებ ანგარიშისა და მონიტორინგის ჩარჩოს ანტიკორუფციული საბჭოსთვის წარდგენამდე დოკუმენტების ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში შექმნილ ექსპერტთა დონის სამუშაო ჯგუფში განხილვა მოეწყო.

ღონისძიება 1.2.4. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 1.2.5. *ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის* დანერგვასთან დაკავშირებით საჯარო დისკუსიები გაიმართა ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე 2015 წლის 29 ივნისს. საჯარო სამსახურის ბიურომ საბჭოს სხდომაზე წარადგინა მის მიერ მომზადებული კანონპროექტი საჯარო სამსახურში კორუფციისა და ინტერსთა შეუთავსებლობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

⁷ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო, ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია, (2015).

შედეგი 1.3. ანტიკორუფციული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში ადგილობრივი თვითმმართველობების როლი გაძლიერებულია

ღონისძიება 1.3.1. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 1.3.2. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

შედეგი 1.4. კორუფციის პრევენციის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობა ეფექტიანია

ღონისძიება 1.4.1. OECD/GRECO-ს რეკომენდაციების შესრულების მიზნით 2015 წლის მარტს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოამზადა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ცვლილებების პროექტი პარტიის მიერ ანგარიშის წარდგენის წესსა და საბიუჯეტო თანხების მიზნობრივად ხარჯვის პროცესზე მონიტორინგის განხორციელების ქმედითი მექანიზმების დადგენასთან დაკავშირებით. ასევე ხელი მოეწერა ბრძანებას განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირებთან დაკავშირებით დეკლარირების წესში ცვლილებების შესახებ. საკანონმდებლო წინადადებების განხილვა არასამთავრობო სექტორთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად მოხდა ამავე წლის მაისის გასვლით შეხვედრაზე.

საქართველომ 2015 წლის 3 თებერვალს GRECO-ს მესამე რაუნდის საქართველოს შეფასების ანგარიშზე მეორე სიტუაციური ანგარიში წარადგინა, რომლის საფუძველზე GRECO-მ 2015 წლის ივნისში მიიღო მეორე შესაბამისობის ანგარიში, რომლის თანახმად გაცემული 15 რეკომენდაციიდან 8 ითვლება შესრულებულად, ხოლო 7 რეკომენდაცია ითვლება ნაწილობრივ შესრულებულად. აქედან, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით გაცემული 10 რეკომენდაციიდან 3 ითვლება შესრულებულად, ხოლო 7 რეკომენდაცია ითვლება ნაწილობრივ შესრულებულად. ამასთან, OECD-ACN-ის მიერ 2015 წლის მატი რეკომენდაციების შესრულების კუთხით პროგრესი მიღებულ იქნა 15 რეკომენდაციიდან 12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

ღონისძიება 1.4.2. საქართველო შეუერთდა ვენის 2010 წლის 2 სექტემბრის შეთანხმებას „საერთაშორისო ანტიკორუფციული აკადემიის, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის, დაარსების შესახებ“ 2014 წლის 27 ნოემბერს. აღნიშნული *ხელშეკრულება საქართველოსთვის ძალაშია* 2015 წლის 25 მაისიდან.

ამასთან, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ საქართველოში მოქმედი ანტიკორუფციული ორგანოებისა და განხორციელებული და მიმდინარე ანტიკორუფციული რეფორმების შესახებ განახლებული ინფორმაცია მიაწოდა ბიზნესის ანტიკორუფციულ პორტალს ([Business Anti-Corruption Portal](#)) და ანტიკორუფციული უწყებების საერთაშორისო ასოციაციას ([International Association of Anti-Corruption Authorities](#)).

შედეგი 1.5. საზოგადოება ინფორმირებულია ანტიკორუფციული საბჭოს შესახებ

ღონისძიება 1.5.1. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით პერიოდულად *ახლებს ანტიკორუფციული საბჭოს ვებ-გვერდს*. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამდივნომ იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე ანტიკორუფციული საბჭოს ნაწილში განათავსა ანტიკორუფციული საბჭოს მიერ 2015 წლის 4 თებერვალს დამტკიცებული ყველა ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტი, კერძოდ ანტიკორუფციული სტრატეგია, 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა, ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების მონიტორინგისა და შეფასების ახალი მეთოდოლოგია და მონიტორინგის ჩარჩო, ასევე განაახლა სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

ღონისძიება 1.5.2. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

პრიორიტეტი 2. საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია

შედეგი 2.1. შემუშავებულია საჯარო მოსამსახურეთა შერჩევის, დაწინაურების და გათავისუფლების გამჭვირვალე და ობიექტური მექანიზმი; ანაზღაურებისა და წახალისების ახალი სისტემა მომზადებულია

ღონისძიება 2.1.1. "საჯარო სამსახურის შესახებ" ახალი კანონის პროექტი შემუშავებულია და მიმდინარეობს საჯარო განხილვები. საჯარო მოხელეთა *კონკურსის ჩატარების, დაწინაურებისა და გათავისუფლების* მარეგულირებელი ნორმები დაიხვეწა "საჯარო სამსახურის შესახებ" ახალი კანონის პროექტის ფარგლებში (თავი V - მოხელის თანამდებობაზე მიღება და თავი VI - მოხელის კარიერის მართვა).

ღონისძიება 2.1.2. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 2.1.3. "საჯარო სამსახურის შესახებ" ახალი კანონის პროექტის ფარგლებში შემუშავებულია საჯარო *სამსახურში წახალისების გამჭვირვალე სისტემის* დანერგვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმები. კანონის პროექტი ასევე აზუსტებს წახალისების წესსა და ფორმებს.

ღონისძიება 2.1.4. "საჯარო სამსახურის შესახებ" ახალი კანონის პროექტის ფარგლებში შემუშავებულია საჯარო სამსახურში კლასიფიკაციის სისტემაზე დაფუძნებული, *სამართლიანი ანაზღაურების სისტემის* მარეგულირებელი ნორმები, რომელიც ასევე ითვალისწინებს ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას.

შედეგი 2.2. საჯარო მოხელეთა ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის მარეგულირებელი მექანიზმები დახვეწილია

ღონისძიება 2.2.1. საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის დახვეწის მიზნით მომზადდა შესატანი *ცვლილებების პროექტი*, რომელიც ეხება ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვას და მამხილებელთა დაცვის

გარანტიების გაზრდას. პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა ანტიკორუფციული საბჭოს 2015 წლის 29 ივნისის სხდომაზე.

ღონისძიება 2.2.2. საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის პროექტის ფარგლებში შემუშავებულია *მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და საფუძვლების* მარეგულირებელი თავი, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და გადაცდომის ფორმებს.

ღონისძიება 2.2.3. საჯარო სამსახურის ბიუროს კოორდინაციით მოხდა საჯარო მოხელეთა *ეთიკის კოდექსზე მომუშავე ჯგუფის* ფორმირება. სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს საჯარო სამსახურში ეთიკის კოდექსის პროექტს, რომელიც უნდა მოიცავდეს ერთი მხრივ ძირითად პრინციპებსა და მათ განმარტებებს, ასევე საჯარო მოსამსახურის ქცევის დეტალურ მოწესრიგებას და ამასთანავე, უნდა ვრცელდებოდეს საჯარო სამსახურში დასაქმებულ ყველა პირზე (გამონაკლისების გათვალისწინებით).

2.3. სამსახურში კორუფციის პრევენციის მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროს როლი გაზრდილია

ღონისძიება 2.3.1. საანგარიშო პერიოდში ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის მოდელის შერჩევაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის სამი შეხვედრა გაიმართა და განისაზღვრა *დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის მოდელი*. მომზადებულია საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვას. 2015 წლის 29 ივნისის ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე მოხდა წარმოდგენილი კანონპროექტის განხილვა. საბჭოს წევრების შენიშვნების ასახვის შემდგომ, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი საქართველოს მთავრობას წარედგინება.

ღონისძიება 2.3.2. შემუშავდა და საჯარო უწყებებში გავრცელდა *სახელმძღვანელო „ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში“*. მომზადდა დეტალური კურიკულუმი/ტრენინგ მოდული, ჩატარდა ორი ორდღიანი პილოტური ტრენინგი ცენტრალური საჯარო უწყებების ადამიანური რესურსების მართვისა და შიდა მონიტორინგის სამსახურების წარმომადგენლების მონაწილეობით. საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის სასწავლო ცენტრის ინიციატივით ჩატარდა ინტენსიური ტრენინგი საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის. დონორთან შესათანხმებლად მომზადებულია ტრენინგების სია და ჩატარების გრაფიკი უწყებების მიხედვით.

ღონისძიება 2.3.3. 2015 წლის თებერვალში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განხორციელდა პროექტი - „მამხილებლის დაცვის ინსტიტუტის გაძლიერება საქართველოში“, რომლის ფარგლებში მოხდა საერთაშორისო ექსპერტის მოწვევა ტრენინგის ჩატარებისა და სახელმძღვანელოს შესაქმნელად. ამასთან, შემუშავდა *ტრენინგ მოდულისა და კურიკულუმი*, განისაზღვრა ტრენინგების სიის მომზადება და ტრენინგების დაგეგმვა.

პროექტის ფარგლებში გადამზადდნენ ტრენერები, მომზადდა და გაზიარებულ იქნა ვიდეო რგოლი მამხილებელთა დაცვის ინსტიტუტის შესახებ. საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა მამხილებელთა დაცვის ინსტიტუტის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროექტის ფარგლებში გაიმართა ინდივიდუალური შეხვედრები ყველა სამინისტროში და რიგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასევე, დაიბეჭდა და საჯარო უწყებებში გავრცელდა საინფორმაციო ბროშურები.

პრიორიტეტი 3. ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში

შედეგი 3.1. ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა გადასინჯულია და ეფექტიანად სრულდება

ღონისძიება 3.1.1. ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის რეფორმის სამუშაო პროცესი 2014 წლის თებერვალს გამართული გაფართოებული მრგვალი მაგიდის ფარგლებში დაიწყო. სამუშაო ჯგუფების შეხვედრებისა და მრგვალი მაგიდების ორგანიზების, ასევე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირების, მედიის წარმომადგენლების, აკადემიური წრის წარმომადგენლებისა და მოსამართლეების მონაწილეობით გამართული ფოკუს ჯგუფების შეხვედრების გზით ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ექსპერტებმა კანონპროექტის საბოლოო ვერსია იუსტიციის სამინისტროს 2014 წლის 21 აგვისტოს წარუდგინეს. საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის წარმოდგენილი კანონპროექტის განხილვა იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში მიმდინარეობდა.

ღონისძიება 3.1.2. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ექსპერტების მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტის განხილვა. სამინისტროს მიერ განხილულ იქნა ასევე *საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა და ელექტრონული გამოთხოვის ერთიანი სტანდარტის შექმნასთან* დაკავშირებულ საკითხები.

ღონისძიება 3.1.3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით კანონპროექტზე მუშაობის პერიოდში 2014 წელს გაიმართა *შეხვედრა ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირებთან* მათი მოსაზრებების, პრაქტიკული რეკომენდაციების შეკრების მიზნით. მოგვიანებით კი, კანონპროექტის პირველადი ვერსიის განხილვის მიზნით, გაიმართა შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. კონსულტაციების მეორე ფაზაში კანონპროექტი კიდევ ერთხელ იქნება განხილული ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთა მონაწილეობით. საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირებთან არ გამართულა.

შედეგი 3.2. საკანონმდებლო და ცენტრალური/ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები დანერგულია და მუშაობს

ღონისძიება 3.2.1. ელექტრონული პეტიციების ვებ-გვერდის ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლების მიერ. აღნიშნული დოკუმენტი უმეტესწილად ეფუძნება USAID-ის პროექტის ექსპერტების დახმარებითა და სამოქალაქო სექტორის რეკომენდაციების შედეგად შემუშავებულ კონცეფციას.

სულ ჩატარდა 10 შეხვედრა და საბოლოო სახით შემუშავდა დოკუმენტის მე-5 სამუშაო ვერსია. ტექნიკურად ვებ-პორტალი აწყობილია და ამჟამად მიმდინარეობს დიზაინის საბოლოო ვერსიაზე მუშაობა. გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებები მომზადდა მთავრობის დადგენილების სახით, რომლის შემუშავების პროცესშიც ჩართული იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სხვადასხვა სამსახურები (ელექტრონული მმართველობის განვითარების დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი). დადგენილების ხელმოწერა იგეგმება 2015 წლის ივლისის დასაწყისში.

ელექტრონული პეტიციების ფუნქციონირებისათვის საჭირო ბიზნეს-პროცესები აღწერილია მთავრობის დადგენილებაში და შევა ძალაში მისი ხელმოწერისთანავე; ხოლო სახელმძღვანელო დოკუმენტაცია და ექსპერტთა კომისიის საბოლოო პერსონალური შემადგენლობა ჯერ არ არის დადგენილი - იგი განისაზღვრება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ღონისძიება 3.2.2. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 3.2.3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე არსებობს საბიუჯეტო პროცესში საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობა "მიიღე მონაწილეობა ბიუჯეტის დაგეგმვაში და განსაზღვრე პრიორიტეტული მიმართულებები" <http://survey.mof.ge/> - გამოკითხვის საშუალებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე საზოგადოებას ასევე აქვს შესაძლებლობა გამოხატოს აზრი იმის შესახებ, თუ რა სახის ინფორმაციის მიღება სურთ (<http://mof.ge/4706>).

შედეგი 3.3. ღია მმართველობის პარტნიორობის ეფექტიანი კოორდინაცია ეროვნულ დონეზე და სამოქმედო გეგმის შესრულების

ღონისძიება 3.3.1. ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ შეიმუშავა სამოქმედო გეგმის შეფასების და მონიტორინგის განახლებული მეთოდოლოგია. აღნიშნული მექანიზმი გულისხმობს პასუხისმგებელი უწყებების მიერ გეგმის შესრულების შესახებ სამდივნოსთვის როგორც წერილობითი ანგარიშის წარდგენას, ასევე მონიტორინგის ჩარჩოს გამოყენებით პროგრესის შესახებ განახლებული ინფორმაციის მიწოდებას კვარტალურად. საანგარიშო

პერიოდში, დასრულებულია 2014 წლისთვის დაგეგმილი **ვალდებულებების განხორციელების მონიტორინგი და აღნიშნულის შედეგების** ანალიზი.⁸ ასევე, პასუხისმგებელი უწყებების მიერ წარმოდგენილია ინფორმაცია 2015 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში შესასრულებელი ვალდებულებების განხორციელების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია დამუშავებულია სამდივნოს მიერ სამოქალაქო საზოგადოებისთვის მისაწოდებლად.

ღონისძიება 3.3.2. საანგარიშო პერიოდში **ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის** 2 რეგულარული და 1 *ad hoc* სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ამასთან, 3-4 ივნისს ფორუმის წევრთა უმრავლესობამ მონაწილეობა მიიღო საქართველოში გამართულ OGP-ის ევროპის რეგიონულ კონფერენციაში.

პრიორიტეტი 4. განათლება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით

შედეგი 4.1. კორუფციასთან ბრძოლაში მიღწეული შედეგებისა და არსებული გამოწვევების შესახებ საზოგადოება ინფორმირებულია

ღონისძიება 4.1.1. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 4.1.2. ახალი ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტებისა და პოლიტიკის შესახებ **საინფორმაციო შეხვედრები** არ განხორციელებულა, თუმცა გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან საინფორმაციო კამპანიის საკითხების განსაზღვრისა და დაგეგმვის მიზნით.

ღონისძიება 4.1.3. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 4.1.4. საგანმანათლებლო დაწესებულებებში ანტიკორუფციულ თემატიკაზე პროგრამების შემუშავებისა და ტრენინგების ჩატარების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად **კონსულტაციების პროცესი მიმდინარეობს.**

პრიორიტეტი 5. კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა

შედეგი 5.1. პროკურორთა დანიშნვის, დაწინაურების და გათავისუფლების გამჭვირვალე და ობიექტური მექანიზმი შემუშავებულია; ანაზღაურებისა და წახალისების გამჭვირვალე სისტემა დანერგულია

ღონისძიება 5.1.1. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 5.1.2. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

⁸ იხ. [პრეზენტაცია](#) 2014 წელს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შემაჯამებელი შედეგების შესახებ.

ღონისძიება 5.1.3. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

შედეგი 5.2. სამართალდამცავ ორგანოებში ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმები გადასინჯულია და ეფექტიანად მუშაობს

ღონისძიება 5.2.1. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 5.2.2. შსს გენერალური ინსპექცია პერიოდულად ახდენს ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმების იმპლემენტაციის მექანიზმის გადახედვას და პროცედურული ნორმების საჭიროებისამებრ დახვეწას. საანგარიშო პერიოდში დამუშავებულ იქნა ეთიკის ნორმების დარღვევის, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის ფაქტების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რომელმაც ცხადყო რომ მექანიზმი ეფექტურად მოქმედებს. ამასთანავე მისი დახვეწისთვის გენერალურ ინსპექციაში შესაბამისი ტრენინგი გაიარა 4-მა თანამშრომელმა; შემუშავდა და გაიცა რეკომენდაციები შსს-ს დანაყოფებისთვის; გატარდა გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის⁹ პოპულარიზაციის ღონისძიებები; პრევენციის მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა სამინისტროს თანამშრომელთა საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს პერიოდული ინსპექტირება და შემოწმებები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

ღონისძიება 5.2.3. ტრენინგ გეგმა “ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის საკითხები,” შემუშავებული და ასახულია საქართველოს შსს აკადემიის განხორციელებად შემდეგ პროგრამებში:

- მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- უზნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი;
- დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პოლიციაში სამუშაოდ მისაღები და სამუშაოზე მიღებული წვევამდელების სპეციალური მომზადების პროგრამა;
- პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის მომზადების სპეციალური პროგრამა.

⁹ დამოუკიდებელი გასაჩივრების მექანიზმი, რომლის დახმარებითაც გენერალურ ინსპექციას შეიძლება მიმართოს სამინისტროს თანამშრომელმა კოლეგის მხრიდან ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტზე და კორუფციის ნებისმიერი გამოვლენის შემთხვევაში.

საანგარიშო პერიოდში მომზადებული/გადამზადებულია შს სამინისტროში მისაღები და მოქმედი 778 თანამშრომელი, 34 ჯგუფი.

ღონისძიება 5.2.4. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

პრიორიტეტი 6. კორუფციის პრევენცია მართლმსაჯულების სისტემაში

შედეგი 6.1. მოსამართლეთა დანიშვნის, დაწინაურებისა და მივლინების ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმები ამოქმედებულია

ღონისძიება 6.1.1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის ინიციატივით, მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა კვლევა მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმების შესახებ. კვლევა მოიცავდა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობასა და კრიტერიუმებს.¹⁰ აღნიშნული კვლევის გარშემო გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსამართლეები, სასამართლოს თავმჯდომარეები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები.

მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს ავტორობით მომზადებული საკანონმდებლო პაკეტით, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა 2015 წლის 23 ივნისს, ახლებურად ყალიბდება *მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესი*. ვენეციის კომისიის დასკვნაში გამოთქმული რეკომენდაციის გათვალისწინებით, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება *მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები და მათი მახასიათებლები*.¹¹ კანონპროექტის თანახმად განსაზღვრულია მოსამართლეთა შერჩევის წესები, განსაზღვრულია მოსამართლის დაწინაურების წინაპირობები, დეტალურადაა გადამუშავებული მოსამართლეთა მივლინების წესი.

ღონისძიება 6.1.2. სასამართლო რეფორმის შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის უფრო მეტი გამჭვირვალობა, კერძოდ, დამოუკიდებელი საბჭო ვალდებული იქნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებ გვერდზე გამოაქვეყნოს სხდომის თაობაზე ინფორმაცია და სხდომის დღის წესრიგი სხდომამდე ერთი კვირით ადრე, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება, სხდომის ოქმთან ერთად, სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებ გვერდზე სავალდებულო იქნება ასევე მსმენელთა მისაღები კონკურსის თაობაზე და სკოლაში მისაღები მსმენელების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის განთავსება.

კანონი განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენლის სტატუსსაც. განისაზღვრება, რომ იუსტიციის მსმენელი არის პირი, რომელიც კონკურსის გავლის შედეგად დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით ჩაირიცხა სკოლაში სასწავლებლად. მსმენლის

¹⁰ კვლევაში მოყვანილი იყო გერმანიის, შოტლანდიის, პოლონეთის, ლიტვისა და სხვა ევროპული ქვეყნების მაგალითები.

¹¹ CDL-AD(2014)03 Opinion on the Draft Law on Amendments to the Organic Law on General Courts, პარაგრაფი 50

სტატუსის მოსაპოვებლად საკმარისი იქნება კონკურსის გავლის შედეგად დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით მისი სკოლაში სასწავლებლად ჩარიცხვა. კანონპროექტი აგრეთვე ითვალისწინებს სკოლის სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემას.

შედეგი 6.2. სამოსამართლო ეთიკის პრინციპებისა და ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმების იმპლემენტაცია; დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმის დახვეწა

ღონისძიება 6.2.1. ევროპის საბჭოს პროექტის „მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში ხორციელდება სამოსამართლო ეთიკის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროპის საბჭოს რამდენიმე ქვეყნის გამოცდილების მოძიება და დამუშავება. საბოლოოდ შემუშავებული კვლევითი მასალის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის გადაცემა იგეგმება 2015 წლის სექტემბრის თვემდე.

ღონისძიება 6.2.2. იუსტიციის სამინისტროს მიერ სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში მომზადებული საკანონმდებლო პაკეტით დაიხვეწება და გამჭვირვალე გახდება მოსამართლეთა წინააღმდეგ წარმართული დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები. რეფორმის შედეგად, მოსამართლე უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს მის მიმართ წარმოებული პროცესის გასაჯაროება; შეიქმნება დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მოსამართლეთა დაცვის დამატებითი გარანტიები; დისციპლინური სამართალწარმოებისათვის დადგინდება მტკიცების სტანდარტი.

სასამართლოს თავმჯდომარეს აღარ ექნება მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეთა თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებას. ეს უფლება ენიჭება დამოუკიდებელ ინსპექტორს, რომელიც დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ახალ ინსტიტუტს წარმოადგენს. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში განხორციელებული ქმედებების შედეგად საბოლოო გადაწყვეტილებებს მიიღებს კოლეგიური ორგანო - იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

ღონისძიება 6.2.3. სადისციპლინო კოლეგიის წევრებს და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის აპარატის თანამშრომლებს შორის გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა. შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, რაც ხელს უშლის ნორმათა პრაქტიკაში იმპლემენტაციას. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ იუსტიციის სამინისტროს მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ შემუშავებული კანონპროექტის სრულყოფის პროცესში.

ღონისძიება 6.2.4. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 6.2.5. დისციპლინური სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამის შექმნის მიზნით, დაწყებულია დონორი ორგანიზაციის მოძიებისა და შერჩევის პროცესი.

ღონისძიება 6.2.6. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

შედეგი 6.3. სასამართლო სისტემის ფარგლებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია; სასამართლო სისტემის რეფორმა მიმდინარეობს გამჭვირვალედ სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით

ღონისძიება 6.3.1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა *საბჭოში გამჭვირვალობის სტანდარტთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების* მიზნით. სადაც, ასევე, შესწავლილ იქნა სამოქალაქო საზოგადოების ანგარიშები და რეკომენდაციები საბჭოს გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. პრობლემების შესწავლის შედეგად, საბჭომ საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით გარკვეული ღონისძიებები უკვე გაატარა, კერძოდ, საბჭოს გაფართოებული სხდომების მოწვევის შესაძლებლობისა და სხდომების შესახებ ინფორმაციის დროულად გამოქვეყნების თვალსაზრისით.

სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვრა, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საბჭოს შემადგენლობის ცვლილებასა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, აგრეთვე მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და მისი შედეგების თაობაზე ინფორმაცია განთავსდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ გვერდზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 7 დღით ადრე საბჭოს ვებ გვერდზე აგრეთვე ქვეყნდება სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაცია.

ღონისძიება 6.3.2. *2015 წლის ივნისის მდგომარეობით საჯარო ინფორმაციის გვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია განთავსებულია განახლების ვადების გათვალისწინებით. ინფორმაციის ნაწილი განახლებულია კვარტალურად, ხოლო ნაწილი ინფორმაცია დაექვემდებარა განახლებას სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული ცვლილების შესაბამისად.*

ღონისძიება 6.3.3. 2015 წლის ივნისის მდგომარეობით ცხელ ხაზზე შემოსულია 124 ზარი, საიდანაც უმეტესობა ინფორმაციული ხასიათის შეკითხვას წარმოადგენს. ხოლო 25 შემთხვევაში საკითხი ეხებოდა სასამართლოში არსებული საქმის განხილვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემებს. თითოეულ მათგანზე მოხდა შესაბამისი რეაგირება კომპეტენციის ფარგლებში. ელექტრონული ფოსტით შემოვიდა 74 წერილი. თითოეულ მათგანზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება. წერილების ნაწილი გადაეცა კანცელარიას დასარეგისტრირებლად, ხოლო ზოგადი ხასიათის შეკითხვებზე ადრესატებს გაეგზავნათ პასუხი. Skype მუშაობს შეუფერხებლად, შემოდის მოქალაქეთა შეკითხვები მათთვის საინტერესო თემებზე. აღნიშნული სერვისების საშუალებით განხორციელდა *სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მოქალაქეთა მხრიდან უკუკავშირების მიღება.*

ღონისძიება 6.3.4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გაიმართება მსჯელობა უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის მართვის ინტეგრირებული სისტემის (ICCMS) ამოქმედებასა და ეფექტიანი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით დაიგეგმა შეხვედრა დაინტერესებული უწყებების მონაწილეობით.

**პრიორიტეტი 7. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციული რისკების შემცირება
საჯარო ფინანსების და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში**

7.1. სახელმწიფო შესყიდვები

შედეგი 7.1.1. შესყიდვების პროცესში კორუფციული რისკები შემცირებულია

ღონისძიება 7.1.1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ კანონმდებლობიდან გამონაკლისებისა და გამარტივებული შესყიდვების შემცირების მიზნით შეიმუშავა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების პროექტი. ასევე, მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების განხორციელების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ.“

2015 წლის 18 ივნისს კანონის პროექტი და საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი განსახილველად წარედგინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას.

შემოთავაზებული ცვლილებები სრულად პასუხობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) მე-2 ფაზის იმპლემენტაციის შესახებ ევროკომისიის ანგარიშის რეკომენდაციებს და OECD/CAN სტამბულის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმას.

ღონისძიება 7.1.1.2. 2015 წლის იანვრიდან დაიწერა და ამოქმედდა რისკებზე დაფუძნებული ელექტრონული მონიტორინგის სისტემა. რისკ-ფაქტორების ჯგუფების შესაბამისად სისტემა ავტომატურად აგენერირებს შეტყობინებას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განხორციელებული ტენდერების შესახებ, სადაც დარღვევების რისკი მაღალია. ავტომატური შეტყობინება ეგზავნება მონიტორინგის სპეციალისტს, რის შემდგომაც ხდება რისკის შემცველი ტენდერების დეტალური შესწავლა. 2015 წლის მაისის მდგომარეობით, 5000 ტენდერის და 18345 გამარტივებული შესყიდვის მონიტორინგი განხორციელდა.

დაიხვეწა დავების განხილვის საბჭოს ელექტრონული მოდული. შესაძლებელი გახდა შეწყვეტილი ტენდერების და ტენდერების სტატუსით „ტენდერი არ შედგა“ გასაჩივრება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის ახალი წესის შესაბამისად.

დავების განხილვის საბჭოს ელექტრონულ მოდულს დაემატა საჩივრის რედაქტირების და საჩივრის დაზუსტების ფუნქცია. მომჩივანს თავის პროფილში დავების განხილვის საბჭოს აპარატისგან მისდის შეტყობინება საჩივრის დაზუსტების შესახებ. საჩივრის დაზუსტების და რედაქტირების ფუნქციის დახვეწამ მნიშვნელოვნად შეამცირა დაუშვებლად ცნობილი საჩივრების რაოდენობა. შემუშავდა საჩივრის ელექტრონული ფორმის შევსების ინსტრუქცია სისტემის მომხმარებლებისათვის.

ღონისძიება 7.1.1.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცდა „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები“. ახალი ბრძანება ითვალისწინებს კონკურსების

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (<https://tenders.procurement.gov.ge>) მეშვეობით გამოცხადებასა და ჩატარებას. კონკურსის სისტემაში ინტეგრირების შედეგად, უკვე შესაძლებელი იქნება საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრება დავების განხილვის საბჭოში. კონკურსების სისტემაში ინტეგრირება კონკურსის ჩატარების პროცესს გახდის გამჭვირვალესა და საჯაროს.

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ახალი წესი და პირობები ამოქმედდება 2015 წლის 1 ივლისიდან.

ასევე, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში მოხდა გრანტების ელექტრონული მოდულის ინტეგრირება. შემსყიდველ ორგანიზაციებს შესაძლებლობა ექნებათ თავიანთი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიყენონ გრანტების ელექტრონული მოდული. გრანტების ელექტრონული მოდულის ამოქმედება გამჭვირვალეს და კონკურენტულს გახდის სახელმწიფო ორგანოების მიერ გრანტების გაცემას. შეიქმნა ბიზნეს ანალიტიკის დოკუმენტი რომლის საფუძველზეც გაეშვა აღნიშნული სისტემა.

ღონისძიება 7.1.1.4. სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წელის №7 ბრძანებით „შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ აღიარებულ იქნა ევროკავშირის EC No213/2008 დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი კლასიფიკატორი (Common Procurement Vocabulary – CPV). განსხვავებით, ევროკავშირის დირექტივისა, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში დამატებით არსებობდა CPV 999, რომელიც იმ ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირებისათვის იყო განკუთვნილი, რომელთა კლასიფიკაცია სხვა კოდების ქვეშ ვერ ხერხდებოდა.

OECD/ACN-ის და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ რეკომენდაციების გათვალისწინებით CPV 999 გაუქმდა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში.

შედეგი 7.1.2. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოვება

ღონისძიება 7.1.2.1. 2014 წელის სექტემბერს დაიწყო SIGMA-ს (ევროკავშირისა და OECD ერთობლივი ინიციატივა) ტექნიკური დახმარების იმპლემენტაცია. ტექნიკური დახმარების ითვალისწინებდა ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავების მხარდაჭერას, სახელმწიფო შესყიდვების არსებული სისტემის, პრაქტიკის და კანონმდებლობის ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას შესაძლო საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების შესახებ, მათი ასოცირების შესახებ შეთანხმების ძირითად სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

პირველ ეტაპზე განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზი ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების ძირითად სტანდარტებთან და შესაბამის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით.

2015 წლის ივლისიდან იგეგმება SIGMA-სთან თანამშრომლობის განახლება ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

შედეგი: 7.1.3. შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი პასუხისმგებელი თანამშრომლების კვალიფიკაცია გაზრდილია

ლონისძიება 7.1.3.1. შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი თანამშრომლების (მათ შორის სატენდერო კომისიების წევრების და აპარატის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში სახელმწიფო სტრუქტურების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს **ჩაუტარდა სახელმწიფო შესყიდვების კურსი**. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში 2015 წლის იანვრიდან მოყოლებული დღემდე, სახელმწიფო შესყიდვების ტრენინგი ჩატარდა ექვს ნაკადად. ხუთი ნაკადის წარმომადგენელი ჯამში 203 პირი, რომელიც ახორციელებს საჯარო შესყიდვებს, წარდგენილი იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობიდან, სახელისუფლებო ორგანოებიდან და სკოლებიდან.

2015 წლის მაისში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარა ორ კვირიანი სასწავლო კურსი ბიზნეს-ორგანიზაციების 38 წარმომადგენლისთვის.

ტრენინგების კურსის დაწყებამდე 2014 წლის 30 სექტემბერს სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის N206 განკარგულებით "სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ფუნქციონირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" დამტკიცდა:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის სერტიფიკატის გაცემის წესი;
- ტრენერთა/ექსპერტთა კატეგორიის შკალა;
- სილაბუსის რეკვიზიტები;
- ტრენინგის დაგეგმვის გრაფიკი;

სასწავლო ცენტრის მიერ გაიცემა **სერთიფიკატის სამი კატეგორია**, შეფასების 100 ქულიანი სისტემის პირობებში, მსმენელის მოსწრების შესაბამისად:

- „წარმატებით ჩააბარა ტესტირება“ - 90%-ისა და მეტის დაძლევის შემთხვევაში;
- „კარგად ჩააბარა ტესტირება“ – 60%-დან 90%-მდე დაძლევის შემთხვევაში;
- „დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“ – 40%-დან 60%-მდე დაძლევის შემთხვევაში.

შედეგი 7.1.4. დავების განხილვის საბჭოს დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა გაზრდილია

ლონისძიება 7.1.4.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის N1 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის ახალი წესი.

ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნის და OECD/ACN რეკომენდაციის გათვალისწინებით, განისაზღვრა გასაჩივრების ვადა - შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება დავების განხილვის საბჭოში შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი მიღებიდან

15 დღის განმავლობაში. ცვლილების განხორციელებამდე კანონმდებლობა მსგავს ვადას არ ითვალისწინებდა.

ახალი წესი ითვალისწინებს სატენდერო კომისიის ყველა სახის გადაწყვეტილების გასაჩივრებას დავების განხილვის საბჭოში თუ ხელშეკრულება არ არის დადებული, მათ შორის შეწყვეტილი ან/და არშემდგარი ტენდერების გასაჩივრებას, რაც ადრე არ საჩივრდებოდა.

ასევე, დაიხვეწა დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების შესრულების მდგომარეობის შესახებ და წარუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია ამის დასადასტურებლად. მეორეს მხრივ, საბჭოს უფლება აქვს გამოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია/ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციისაგან საბჭოს გადაწყვეტილების შესრულების მონიტორინგის მიზნით. დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გარდა აღნიშნულისა, OECD/ACN რეკომენდაციის გათვალისწინებით, დავების განხილვის საბჭოს იმ წევრების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოებას, განისაზღვრა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

7.2. საჯარო ფინანსები

შედეგი 7.2.1. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა ეტაპობრივად განხორციელებულია

ღონისძიება 7.2.1.1. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგიის სამუშაო ვერსიის შემუშავების დაწყება შესაძლებელია, მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი იქნება OECD/SIGMA-ს ხარვეზების ანალიზის ანგარიში, რათა სტრატეგიის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნეს მათი მიგნებები და რეკომენდაციები. **ანგარიშის წარდგენა იგეგმება 29 ივლისს**, შესაბამისად, მას შემდეგ იქნება ჰარმონიზაციის ცენტრის სამდივნო მზად დაიწყოს სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობა.

ღონისძიება 7.2.1.2. „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების კანონპროექტი შეთანხმებულია დაინტერესებულ პირებთან და მიმდინარეობს მისი მომზადება პარლამენტში გასაგზავნად.

ღონისძიება 7.2.1.3. მომზადებულია "ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესის და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის" მთავრობის დადგენილების პროექტი. აღნიშნული დოკუმენტი ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის პროცესში 4 სამინისტროში პილოტურ რეჟიმში გაშვების გზით იქნება გადახედილი და შემოწმებული. უფრო მეტად სრულყოფილი, დამუშავებული დოკუმენტი წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად. დანერგვის პროცესის მოსამზადებელი ეტაპი დაწყებულია და აღწერითი დოკუმენტი ყველა

სამინისტროსთვის გაგზავნილია. არსებული მდგომარეობით ხუთ სამინისტროს აქვს მზადყოფნა გამოთქმული.

შედეგი 7.2.2. ჰარმონიზაციის ცენტრი ინსტიტუციურად გაძლიერებულია და ეფექტიანად ფუნქციონირებს

ღონისძიება 7.2.2.1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტში განხორციელებული რეორგანიზაციის საფუძველზე, აპრილის თვეში შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის ჰარმონიზაციის სამმართველოს გაუქმების შედეგად ჩამოყალიბდა სახელმწიფო შიდა აუდიტის დეპარტამენტი. ახლად შექმნილი დეპარტამენტი ასრულებს ჰარმონიზაციის ცენტრის სამდივნოს ფუნქციებს.

ღონისძიება 7.2.2.2. სახელმწიფო შიდა აუდიტის დეპარტამენტი ასრულებს როგორც შიდა აუდიტის, ასევე ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობას.

შედეგი 7.2.3. შიდა აუდიტის სისტემის ფუნქციონირება გაუმჯობესებულია

ღონისძიება 7.2.3.1. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 7.2.3.2. შიდა აუდიტის მეთოდოლოგია დაბეჭდილია, ატვირთულია ვებ-გვერდზე და გავრცელებულია, როგორც ცენტრალური ხელისუფლების შიდა აუდიტის სუბიექტის წარმომადგენლებში, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში.

ღონისძიება 7.2.3.3. აღნიშნული ღონისძიების შესრულების დაწყება დამოკიდებულია OECD-SIGMA-ს ხარვეზების ანალიზის ანგარიშზე, რათა გათვალისწინებულ იქნას მათი მიგნებები და რეკომენდაციები. ანგარიშის წარდგენა იგეგმება 29 ივლისს, შესაბამისად მას შემდეგ შეუძლია ჰარმონიზაციის ცენტრის სამდივნოს დაიწყო სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობა.

ღონისძიება 7.2.3.4. 2015 წლის მაისის თვეში განხორციელდა შიდა აუდიტის საფუძვლების ოთხდღიანი ტრენინგი 23 აუდიტორისათვის და ასევე, ივნისში 3 დღიანი სისტემური აუდიტის ტრენინგი 22 შიდა აუდიტორისათვის.

ღონისძიება 7.2.3.5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტში საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ს მხარდაჭერით, სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა სისტემური აუდიტის პილოტური პროექტი, რომელიც ივნისის თვეში დასრულდა. ამასთან, ჰარმონიზაციის ცენტრის სამდივნოს იდეით მომზადდა სისტემური აუდიტის სატრენინგო მოდული საერთაშორისო ექსპერტისა და ადგილობრივი ტრენერების მიერ, კერძოდ თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსისა და მისი მოადგილის მიერ. სისტემური აუდიტის გამოცდილების გაზიარება სასწავლო კურსის ფარგლებში 22 შიდა აუდიტორისთვის იქნა შესაძლებელი.

ღონისძიება 7.2.3.6. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

შედეგი 7.2.4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციურად გაძლიერებულია

ღონისძიება 7.2.4.1. 2015 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა რისკებზე დაფუძნებული აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსია. რისკზე დაფუძნებული მიდგომა ითვალისწინებს ერთი მხრივ, მხარჯავი უწყების/პროგრამის ზეგავლენისა (მნიშვნელობისა) და როლის შეფასებას საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სფეროში. მეორე მხრივ, შიდა ორგანიზაციული მართვის კუთხით არსებული და გარე წყაროების გავლენით წარმოქმნილი რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებისა და მათი რეალიზების ალბათობის შეფასებას. აღნიშნულ კომპონენტებზე დაყრდნობით, გაიანგარიშება რისკის ჯამური კოეფიციენტი, რომლის საფუძველზეც წინასწარ განსაზღვრული მატრიცის მიხედვით ხდება დასაგეგმი წლის განმავლობაში კონკრეტული მხარჯავი უწყების/პროგრამის აუდიტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვის რისკებზე დაფუძნებული მიდგომის პრაქტიკაში რეალიზაცია ხორციელდება მხარჯავი უწყების რისკ-პროფილის მეშვეობით.

ღონისძიება 7.2.4.2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელო მუშავდება საჯარო სექტორის შესაბამისობის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000-4200) საფუძველზე.

ღონისძიება 7.2.4.3. 2015 წლის ივნისის მდგომარეობით შექმნილია სამუშაო ჯგუფი ანტიკორუფციული აუდიტის მეთოდოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის მიზნით. სამუშაო ჯგუფის მიერ დაწყებულია მეთოდოლოგიის პროექტზე მუშაობა.

ღონისძიება 7.2.4.4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2014 წლის ბოლოს დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება - „აუდიტის მართვის სისტემის დანერგვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში“. ¹² აღნიშნული პროგრამული პაკეტის შექმნა და დანერგვა მოხდება გრანტის ფარგლებში, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოიპოვა ნორვეგიის მთავრობისაგან (2,100,000 ნორვეგიული კრონა = 0.28 მილიონი დოლარი).

აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემის შექმნისა და დანერგვის მიზნით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც 2015 წლის იანვრიდან აქტიურად ახორციელებდა აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემის შესყიდვისათვის საჭირო სატენდერო წინადადებების შემუშავებას. სატენდერო წინადადების ხარისხის კონტროლი განახორციელეს მსოფლიო

¹² აუდიტის მართვის სისტემა წარმოადგენს ცენტრალიზებულ ელექტრონულ სისტემას, რომელშიც წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით აუდიტორები ასრულებენ აუდიტორულ პროცედურებს. სისტემაში გათვალისწინებულია აუდიტის ძირითადი პრინციპები, რაც გულისხმობს აუდიტორული საქმიანობის წლიური დაგეგმვისა და შესრულების, ასევე აუდიტის ანგარიშის მომზადებისა და რეკომენდაციების მონიტორინგის შესაძლებლობას.

ბანკის ექსპერტებმა. ივნისის მდგომარებით შემუშავებულია სატენდერო წინადადება და გახსნილია სატენდერო წინადადებები აუდიტის მართვის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვის მიზნით.

გენერალური აუდიტორის ბრძანებით შექმნილია აუდიტის მართვის ელექტრონული პროგრამის ინსტალირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფიც.

ღონისძიება 7.2.4.5. აუდიტის შედეგების სისტემატიზებული აღრიცხვის, კლასიფიცირებისა და ანგარიშებისათვის სამსახურმა 2015 წელს დაწერა აუდიტის ელექტრონული ბარათი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა აუდიტის პერიოდში გამოვლენილი ნაკლოვანებების დახარისხება და მათთვის სპეციფიკური - ფინანსური და არაფინანსური კატეგორიების მინიჭება.

2015 წლიდან 370 აუდიტის ელექტრონული ბარათი ხელმისაწვდომია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შიდა სამსახურებრივ პორტალზე (ინტრანეტი).

აუდიტის ბარათის დაწერვით სამსახური უზრუნველყოფს ჩატარებული აუდიტების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, როგორც ცალკეულ უწყებათა საქმიანობის სფეროების, ისე, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისა და დროულობის მიმართულებით. ასევე, აუდიტის ბარათი ეხმარება სამსახურს წლიური საქმიანობისა და ორგანიზაციული განვითარების მიმართულებების განსაზღვრის პროცესში.

აუდიტის ბარათში გამოვლენილი დარღვევების დახარისხებისა და მათთვის სპეციფიკური კატეგორიის მინიჭების მიზნით 2015 წელს შეიქმნა აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებების კლასიფიკაციის სახელმძღვანელო.

შედეგი 7.2.5. ფინანსური მართვისა და კონტროლის და შიდა აუდიტის ფუნქციონირების შემოწმების სისტემა დაწერგლია; აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვა ხორციელდება გამოვლენილი კორუფციული რისკების გათვალისწინებით

ღონისძიება 7.2.5.1. 2015 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შემუშავდა მხარჯავი დაწესებულებების სარეიტინგო კითხვარი უწყებათა ორგანიზაციული მართვის ეფექტიანობის ძირითადი ასპექტების შესაფასებლად. სისტემა მიზნად ისახავს გამოავლინოს ორგანიზაციული/ფინანსური მართვის კუთხით წინადადებული ნაბიჯები თუ შესაძლო სისტემური ხასიათის ხარვეზები, რომელთა გამოსწორებაც აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან დამატებით ძალისხმევას საჭიროებს.

ღონისძიება 7.2.5.2. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული. .

ღონისძიება 7.2.5.3. 2015 წლის თებერვლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დაიწყო ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის სახელმძღვანელოს შექმნა. შემუშავებულია სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსია, რომელიც ეხება ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგისას გასათვალისწინებელ საკითხებს. სახელმძღვანელოსთან ერთად მიმდინარეობს მონიტორინგის ფორმების შემუშავებაც. დღეისათვის შექმნილია კვარტალური მონიტორინგის 5 ფორმა:

1. ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ფორმა;
2. სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების აღრიცხვის ფორმა;
3. სატრანსპორტო საშუალებების ანალიზური აღრიცხვის ფორმა;
4. მხარჯავი დაწესებულების მიერ განხორციელებული შესყიდვების აღრიცხვის ფორმა;
5. შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯების აღრიცხვის ფორმა.

სამსახურში სახელმძღვანელოსა და მონიტორინგის ფორმების დახვეწა-გაუმჯობესების პროცესი ამჟამადც მიმდინარეობს.

შედეგი 7.2.6. მთავრობის შესაძლებლობები განვითარებულია; საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის ამაღლებულია

ღონისძიება 7.2.6.1. 2015 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2014-2017 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად შემუშავდა რეკომენდაციების შემუშავებისა და შესრულების მონიტორინგის სახელმძღვანელო, რომელმაც მოიცვა რეკომენდაციების შემუშავებისა და შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია, ელექტრონულ სისტემაში მუშაობის ინსტრუქცია და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

2015 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შიდა სამსახურებრივ პორტალზე (ინტრანეტი) ხელმისაწვდომია სამთავრობო უწყებებზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების გვერდი. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სახელმძღვანელოს განახლება სამსახურის ხელმძღვანელობის შენიშვნების გათვალისწინებით მუდმივი პროცესია, რომელიც ახლაც მიმდინარეობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით 2015 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტში განხორციელდა სამსახურის მიერ ჩატარებული 2 ეფექტიანობის აუდიტის მოსმენა: საირიგაციო სისტემის მართვის ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში; სახელმწიფო საწარმოების მართვის და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. მოსმენის მიზანი იყო ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშებში ასახულ რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით მთავრობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხილვა.

ღონისძიება 7.2.6.2. 2015 წლის ივნისის მდგომარეობით სამართლდამცავ ორგანოებს გადაეგზავნათ სულ 50 აუდიტის ანგარიში შემდგომი რეაგირებისათვის. 48 აუდიტის ანგარიში გაიგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას, ხოლო 2-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას.

ღონისძიება 7.2.6.3. პუბლიკაციებისა და უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელოების მომზადებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს მთავრობის მხარდაჭერას საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის პროცესში. **პუბლიკაციები და სახელმძღვანელოები** მიმოიხილავს არსებული მსოფლიო გამოცდილების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს და უკეთეს პრაქტიკას რეფორმის პროცესში წამოჭრილი იმ აქტუალური საკითხების შესახებ,

რომლებიც მნიშვნელოვანია საჯარო მმართველობისა და საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

2015 წლის ივნისის მდგომარეობით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდზე საჯარო ფინანსების მართვასა და ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია 2014 და 2013 წლებში მომზადებული 6 პუბლიკაცია. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა პუბლიკაციაზე, რომელიც ეხება სახელმწიფო ქონების მართვის საკითხებს.

შედეგი 7.2.7. ინფორმაციული სისტემების აუდიტის (IT Audit) მექანიზმი განვითარებულია ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია

ღონისძიება 7.2.7.1. 2014 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაიწყო ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის მიმართულების განვითარება სამსახურის 2014-2017 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის IT აუდიტის სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში 2015 წელს სამსახურმა დაიქირავა IT აუდიტორები და შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სამსახურის IT აუდიტის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით. IT აუდიტის მეთოდოლოგია იქმნება უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) IT აუდიტის სახელმძღვანელოს საფუძველზე.

ღონისძიება 7.2.7.2. 2015 წლის ივნისის მდგომარეობით ჩატარებულია IT აუდიტის სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკების კვლევები. განხორციელებული კვლევების შედეგად განისაზღვრა IT აუდიტის სტანდარტები და სახელმძღვანელოები, რომელიც შემდგომში გამოიყენება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორულ საქმიანობაში. სამსახურის მიერ მოძიებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მასალები და სხვა საერთაშორისო პრაქტიკის სახელმძღვანელოები IT აუდიტის მიმართულებით.

ღონისძიება 7.2.7.3. 2015 წლის ივნისის მდგომარეობით Twinning-ის პროექტის (საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი - „საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“) ფარგლებში შეფასებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის მიმართულებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორების ტრენინგ საჭიროებები. ტრენინგების ჩატარება იგეგმება წლის მეორე ნახევარში.

გარდა ამისა, 2015 წლის აპრილში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გაიმართა სას-ის საინფორმაციო ტექნოლოგიური გარემოს და საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტის თვითშეფასების (ITSA & ITASA) სამუშაო შეხვედრები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებსა და უცხოელ ექსპერტებს(მოდერატორებს) შორის.

შედეგი 7.2.8.საჯარო ფინანსების მართვის მექანიზმები გაუმჯობესებულია (E-Budget და E-Treasury)

ღონისძიება 7.2.8.1. პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის გადამუშავებული ვერსია შემუშავებულია. პროექტის ძირითადი პრინციპები შეთანხმებულია ევროკავშირის შემფასებელი მისიის მიერ "PFM Budget Support"-ის ფარგლებში. სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის შეთანხმების პროცესი დასრულების ეტაპზეა.

ღონისძიება 7.2.8.2. 2015 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის ბაზაზე ამოქმედდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და ავტონომიური რესპუბლიკების მომსახურების მოდული, რომელშიც ჩართულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები (კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა). მომდევნო პერიოდებში მუდმივად განხორციელდება სისტემის მომცველობის გაზრდა.

ღონისძიება 7.2.8.3. განხორციელდა სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის ბაზაზე შემუშავებული მოდულების/ფუნქციონალების დახვეწა და გამოსწორდა ფუნქციონირების პროცესში გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზები.

ღონისძიება 7.2.8.4. აღრიცხვის რეფორმის ფარგლებში, დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვისა და ზოგადად, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განხორციელდა IPSAS 1, IPSAS 13, IPSAS 19, IPSAS 22, IPSAS 23 და IPSAS 24-ის შესწავლა და ანალიზი არსებულ სააღრიცხვო სისტემასთან მიმართებით. ანალიზის პროცესში გამოვლინდა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შეუსაბამობები. რეფორმის ფარგლებში მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად, იგეგმება ტექნიკური დახმარების გამოყენება სახაზინო სამსახურის თანამშრომლების ზემოაღნიშნულ სტანდარტებში მოსამზადებლად, ასევე აღრიცხვა-ანგარიშების შესაბამის ნორმატიულ აქტებში შესატანი ცვლილებების მომზადებასთან დაკავშირებით.

პრიორიტეტი 8. კორუფციის პრევენცია საბაჟო და საგადასახადო სისტემაში

შედეგი 8.1. გადასახადების ადმინისტრირება და საბაჟო კონტროლი გაუმჯობესებულია

ღონისძიება 8.1.1. აუდიტის შესაძლებლობების და პოტენციალის გაძლიერების მიზნით შემუშავებულია აუდიტის დეპარტამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა.

ღონისძიება 8.1.2. 2013-2014 წლების მონაცემების საფუძველზე შეფასდა შემოსავლების სამსახურში საგადასახადო შემოწმებებისთვის გადამხდელთა შერჩევის რისკის კრიტერიუმები.

ღონისძიება 8.1.3. შემთხვევითი შერჩევის პროგრამული მოდული შექმნილია და აღნიშნული მოდულით საცდელად დანიშნულია ხუთამდე საგადასახადო შემოწმება.

ღონისძიება 8.1.4. შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 11 თებერვლის N3520 ბრძანებით დამტკიცდა „შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. სტრატეგია გამოიცა ჟურნალის სახით და მოხდა მისი გადამხდელთაგან განცხადება.

ღონისძიება 8.1.5. გაფორმებულია **მემორანდუმი** შემოსავლების სამსახურსა და შსს-ს შორის საზღვრის კვეთისას რისკების პროგრამისთვის ინფორმაციის ონლაინ მიწოდებისა და ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანების საფუძველზე შექმნილია **ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ჯგუფი**, რომლის შემადგენლობაში შედიან შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები. აღნიშნული ჯგუფი ახორციელებს ინფორმაციის დამუშავება-ანალიზს და მაღალი რისკის მატარებელი ტვირთების და სატრანსპორტო საშუალებების შერჩევა-კონტროლის ღონისძიებებს.

UNODC (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი), შეერთებული შტატების ექსპორტის კონტროლის პროგრამის მხარდაჭერით, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის გლობალური ინიციატივის ფარგლებში - ქ. თბილისში, მიმდინარე წლის აპრილის თვეში შეიქმნა **კონტეინერების კონტროლის ჯგუფი**, რომელიც ორიენტირებულია სახმელეთო, საჰაერო გადაზიდვებზე, ასევე სატრანსპორტო საშუალებებსა და ფიზიკურ პირებზე. აღნიშნულ ჯგუფს მიმდინარე წლის იანვარში ჩაუტარდა თეორიული, ხოლო მაისის თვეში - პრაქტიკული სახის ტრენინგები. ჯგუფი არსებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად ახდენს მაღალი რისკის მატარებელი ტვირთების, კონტეინერების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სხვა ობიექტების შერჩევა-კონტროლის ღონისძიებებს.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის nCEN პროგრამის (ეროვნული საბაჟო სამართალდარღვევების ქსელის) გამოყენების შესახებ **ხელშეკრულების საბოლოო ვერსია** შემუშავდა და ხელი მოეწერა შემოსავლების სამსახურის უფროსის და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ადმინისტრაციის უფროსის მიერ.

ღონისძიება 8.1.6. საქართველოს საგადასახადო კოდექსის განმარტებებისა და სიტუაციური სახელმძღვანელოების განმხილველი საკოორდინაციო საბჭო იხილავს **სიტუაციური სახელმძღვანელოების პროექტებს**, საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული ნორმების გამოყენების თაობაზე მათი დამტკიცების და ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოების ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით.

ზემოაღნიშნული საბჭოს საქმიანობის შედეგად 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 18 ივნისამდე პერიოდში დამტკიცებულია **13 სიტუაციური სახელმძღვანელო**, ხოლო 2 სიტუაციური სახელმძღვანელო შესწორდა და გამოიცა ახალი რედაქციით, მოქმედ კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ღონისძიება 8.1.7. გადამხდელთა მომსახურების პროცესის მონიტორინგის ჩატარების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალა გარე რესურსის გამოყენება და მიმდინარეობს **განმახორციელებელი პირის შერჩევის** პროცესი.

ღონისძიება 8.1.8. „ბიზნესის კეთების“ კითხვარი დაბეგვრისა და საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში შეივსო 2015 წლის 20 მარტს. კითხვარის დამუშავების პროცესში ჩართული იყვნენ კერძო სექტორის წარმომადგენლები. შევსებული კითხვარი გაეგზავნა მსოფლიო ბანკის პროექტის შემფასებლებს. მოგვიანებით კითხვარში მოყვანილი არგუმენტების ახსნისა და განმარტების მიზნით IFC-ის მხარდაჭერით დამატებით მოეწყო ვიდეო კონფერენცია, რომელზეც შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის წარმომადგენლებმა წარადგინეს ახსნა-განმარტებების ამსახველი პრეზენტაცია.

აღნიშნულის გარდა გაანალიზებულ იქნა წინა წლის „ბიზნესის კეთების“ ასევე „ლოგისტიკური შესაძლებლობების ინდექსის“ ანგარიში საქართველოს შესახებ. შესაბამისად, მომზადდა და ხელმძღვანელობას წარედგინა წინადადებები და მოსაზრებები პრობლემური საკითხების და მათი შესაძლო გადაჭრის გზების თაობაზე.

შედეგი 8.2. ელექტრონული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

ღონისძიება 8.2.1. არსებული მდგომარეობით რიგ შემთხვევებში მატერიალურად წარმოსადგენი დოკუმენტი ჩანაცვლდა ელექტრონული განაცხადით. მაგალითად, დაემატა განცხადება ბუნებრივი რესურსების ლიცენზიის გაუქმებაზე. ასევე, შეიქმნა 40-მდე ელექტრონული წერილის ნიმუში, რომელიც განთავსდა ელექტრონულ გვერდზე.¹³

ღონისძიება 8.2.2. გამოვლინდა შესაბამისი ხარვეზები, რის საფუძველზეც განხორციელდა ზოგიერთ შემთხვევაში არსებული სერვისების დახვეწა. მაგალითად: შეიცვალა/დაიხვეწა განცხადება „გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების უფლების შესახებ“, საქმიანობის შეწყვეტის შესახებ განცხადების გამოგზავნისას დაემატა დამატებითი შეტყობინება იმ პირებისათვის რომელთაც მინიჭებული აქვთ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი.

შედეგი 8.3. საბაჟო-საგადასახადო თანამშრომელთა მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება

ღონისძიება 8.3.1. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 8.3.2. სერვის-ცენტრების ნაწილი აღიჭურვა ვიდეო კამერებით, ხოლო დარჩენილი ნაწილის აღიჭურვება ეტაპობრივად.

ღონისძიება 8.3.3. საბაჟო გამშვები პუნქტების თანამშრომელთა პერიოდული განახლება, ჩანაცვლება და გადაადგილება მუდმივი პროცესია. დაინიშნა - 75 ახალი თანამშრომელი,

¹³ მაგალითად: ფიზიკურ პირებზე შეცდომით მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომრების გაუქმება; ცხრა ნიშნა საიდენტიფიკაციო კოდის პირადი თერთმეტ ნიშნა ნომრით შეცვლა, დაქირავებულის მომართვის შემთხვევაში, ცნობა გადახდის წყაროსთან ხელფასის სახით განაცემებზე შეღავათის გამოყენების შესახებ; მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება; მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმება; ჩვეთან გათანაბრებული დოკუმენტის რეგისტრაცია, tax-free (Tax Free) დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითრის გამოწერის უფლებამოსილი პირის მიერ (Tax Free) - სტიკერის მოთხოვნა, ნავთობპროდუქტების რეალიზატორების სტაციონალური ობიექტებისათვის შვიდ ნიშნა კოდის რეგისტრაცია და სხვა.

გათავისუფლდა - 15, სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში გადავიდა - 51, განხორციელდა შიდა როტაცია -90.

შედეგი 8.4. საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტი გაძლიერებულია

ღონისძიება 8.4.1. „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი შეთანხმდა საქართველოს მთავრობასთან და საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტში. საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის მაისში მიიღო „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის 5 ივნისიდან.

ღონისძიება 8.4.2. „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონში აისახა ბიზნესომბუდსმენის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოების ანგარიშვალდებულების დამდგენი ნორმები, რითიც ამაღლდა ბიზნესომბუდსმენის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოების ანგარიშვალდებულება.

ღონისძიება 8.4.3. უზრუნველყოფილ იქნა ეკონომიკური საბჭოს აპარატში გამართულ სამუშაო შეხვედრებში ბიზნესომბუდსმენის აპარატის წარმომადგენელთა მონაწილეობა. ამასთან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ეკონომიკური საბჭოს წევრია საქართველოს ბიზნესომბუდსმენი.

ღონისძიება 8.4.4. ბიზნესომბუდსმენის აპარატის თანამშრომლების ტრენინგი არ ჩატარებულა, ვინაიდან ვერ იქნა მოძიებული შესაბამისი დაფინანსება დონორებისგან, რაც რისკის სახით აღნიშნული იყო სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. აღნიშნულის დაფინანსება ბიუჯეტიდან ვერ ხერხდება სახსრების სიმცირის გამო.

შედეგი 8.5. საგადასახადო/საბაჟო დავების განხილვის არსებული სისტემა დახვეწილია

ღონისძიება 8.5.1. ზოგადი კონცეფციის დონეზე განსაზღვრულია, რომ საერთო სასამართლოებთან ელექტრონული კომუნიკაციის დანერგვა (ელექტრონული საქმისწარმოება) ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული რესურსების დაზოგვას, საქმისწარმოების დაჩქარებას და გამარტივებას, ხოლო საერთო სასამართლოებში საგადასახადო დავების წარმოება ვიდეო კონფერენციის საშუალებით, (საწყის ეტაპზე მოსამზადებელი, გამწესრიგებელი და სხვა სხდომები) მხარეების და მათი წარმომადგენლების უშუალოდ სასამართლოში გამოცხადების გარეშე ასევე უზრუნველყოფს პროცესში მონაწილე პირთა, მ.შ. გადასახადის გადამხდელთა რესურსების დაზოგვას.

ზემოაღნიშნული ზოგადი კონცეფცია მიწოდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის აპარატისათვის, რათა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან უზრუნველყოფილ იქნეს მისი დეტალური განხილვა.

ღონისძიება 8.5.2. გადასახადის გადამხდელის საჩივრის ონლაინ რეჟიმში განხილვის მიზნით, ქალაქ ქუთაისში და ქალაქ ბათუმში უზრუნველყოფილია საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პერმანენტულად ხორციელდება საცდელი ჩართვები.

ამასთან, შემოსავლების სამსახურის უფროსის N31275 ბრძანებაში დავების დეპარტამენტის მიერ ინიცირებულია ცვლილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება რომ გადასახადის გადამხდელს სურვილის შემთხვევაში მას მიეცემა შესაძლებლობა საბჭოს სხდომაში მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით შემოსავლების სამსახურის ყველა სერვის-ცენტრიდან.

შედეგი 8.6. საბაჟო და საგადასახადო სისტემების გამჭვირვალობა გაზრდილია და საზოგადოებაში საგადასახადო ცნობიერება ამაღლებულია

ღონისძიება 8.6.1. გადასახადის გადამხდელებთან კითხვა-პასუხის რეჟიმი პერმანენტულ ხასიათს ატარებს. მომსახურების დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა "ღია კარის" დღეები გორში, მცხეთაში, ნინოწმინდაში, ჭიათურაში, რუსთავში, მარნეულში, ლაგოდეხში, გურჯაანში, ყვარელში და თელავში, რომლის ფარგლებშიც გადასახადის გადამხდელებისათვის მოეწყო პრეზენტაცია საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესახებ და ასევე გაიმართა დისკუსია მათთვის საინტერესო საკითხებზე. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა გრძელდება. დეპარტამენტში ასევე დაიგეგმა შემდეგი პროექტების განხორციელება:

- **საგადასახადო ფორუმი** - ფორუმის საშუალებით გადამხდელს საშუალება ექნება მისთვის აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მოგვწეროს, მოითხოვოს შესაბამისი განმარტება კომპეტენტურ თანამშრომელთან შეხვედრის ორგანიზების გზით. ასევე, შესაძლებელია ფორუმის საშუალებით მოხდეს გადამხდელების მხრიდან წინადადების მოწოდება, რომელიც განხილვის შედეგად შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტში ან/და აღნიშნული წინადადება გახდეს ახალი ინიციატივის საფუძველი.
- **სკოლებში (დამამთავრებელ კლასებში) ტრენინგის ჩატარება** - ემსახურება საგადასახადო ცნობიერების ამაღლების მიზნით ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნული პროექტის რეგულარულად განხორციელება მოგვცემს მაღალი საგადასახადო კულტურის მქონე საზოგადოებას.

ღონისძიება 8.6.2. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 8.6.3. საჯარო გადაწყვეტილების გაცემასთან დაკავშირებით შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომელიც სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ შემდგომი სამართლებრივი პროცედურების გავლის მიზნით წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

შედეგი 8.7. ანტიკორუფციულ საკითხებში საბაჟო და საგადასახადო სისტემების მოხელეთა კვალიფიკაცია ამაღლებულია

ღონისძიება 8.7.1. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 8.7.2. მიმდინარეობს არსებული სიტუაციის შესწავლა ცალკეული დეპარტამენტებისა და სამუშაო ადგილის შესაბამისად. **სპეციფიკური რისკებისა და სამიზნე**

ჯგუფების გამოვლენის მიზნით მიმდინარეობს შედეგების შეფასებისა და შემდგომი გაანალიზების პროცესი.

ღონისძიება 8.7.3. პროფესიული ეთიკის საკითხებზე დამმობილების პროექტის ფარგლებში, განხორციელდა სასწავლო შეხვედრა მოწვეულ ექსპერტებსა და შემოსავლების სამსახურის ყველა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს შორის; **გაზიარებულ იქნა უცხო ქვეყნის გამოცდილება** საგადასახადო/საბაჟო სფეროში პროფესიული ეთიკის კოდექსის მიმართულებით. დამმობილების პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს შემდგომი კონსულტაციები. საერთაშორისო გამოცდილება გაზიარებულია, მოწოდებულია საპილოტე ტრენინგ მოდულის დაგეგმვის პროცესის პრეზენტაციის ნიმუშები.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ეთიკის ქვეკომიტეტის სხდომაში.

პრიორიტეტი 9. კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით

შედეგი 9.1. ბიზნესის კეთილსინდისიერების რისკების შესახებ ცნობიერება ამაღლებულია
ღონისძიება 9.1.1. სამიზნის მიღწევის მიზნით საანგარიშო პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა.

ღონისძიება 9.1.2. 2015 წლის 20 მარტს, კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლები შეხვედრენ ეკონომიკის სფეროს ექსპერტებს (ემზარ ჯგერენაია, მიხეილ ჯიბუტი, ლევან კალანდაძე). შეხვედრაზე განხილულ იქნა ახლადშექმნილი კონკურენციის სააგენტოს წინაშე მდგარი გამოწვევები და კანონმდებლობაში არსებული გამოწვევები.

შედეგი 9.2. კონკურენციის სააგენტო ინსტიტუციურად გაძლიერებულია

ღონისძიება 9.2.1. 2015 წლის 6 იანვარს, 11 თებერვალს და 12 ივნისს დასრულებული კონკურსების შედეგად, სააგენტოში მიღებულია ჯამში **7 თანამშრომელი**. მათ შორის, 1 თავმჯდომარის მოადგილე, 5 - კონკურენციის დეპარტამენტის მრჩეველი და 1 - ადმინისტრაციული დეპარტამენტის სპეციალისტი.

ღონისძიება 9.2.2. 2015 წლის 17-19 მარტს უნგრეთში, ქ. ბუდაპეშტში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და უნგრეთის კონკურენციის რეგიონალური ცენტრის (RCC) (OECD-GHV RCC) ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია - კონკურენციის კანონმდებლობაში გასაჩივრების უფლებებისა და ვალდებულებების თემატიკაზე. **კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო** საქართველოს კონკურენციის სააგენტოს **ორმა თანამშრომელმა**.¹⁴ 2015 წლის 25 – 27 მარტს ქ. ბერლინში გაიმართა კონკურენციის მე-17

¹⁴ სამდღიანი კონფერენციის ძირითად თემებს წარმოადგენდა - კონცენტრაციების/შერწყმების სპეციფიკა და ამ დროს წარმოშობილი ვალდებულებები, ასევე, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები და კონკრეტული ქეისების შეფასება ამ მიმართულებით.

საერთაშორისო კონფერენცია, კონფერენციაში **მონაწილეობდა სააგენტოს ორი წარმომადგენელი.**¹⁵

2015 წლის 28 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით ქ. სიდნეიში გაიმართა საერთაშორისო კონკურენციის ქსელის (ICN) წლიური კონფერენცია. კონფერენციაში **მონაწილეობდა სააგენტოს ორი წარმომადგენელი.**

2015 წლის 5 თებერვალს კონკურენციის საერთაშორისო ქსელმა (ICN) მისი წევრი ქვეყნებისთვის ჩაატარა ტელე-სემინარი თემაზე: „ახალი ეფექტური საშუალებები საქმისწარმოებისათვის“, რაშიც **მონაწილეობა მიიღო საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 8 თანამშრომელმა.**

2015 წლის 16-17 მარტს GIZ-ის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით, გერმანიის ფედერალური ანტიმონოპოლიური სამსახურის, ბუნდესკარტელამთის გადაწყვეტილებების მიმღები განყოფილების ყოფილმა უფროსმა კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისთვის ჩაატარა ორდღიანი ტრენინგი. **ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სააგენტოს 8 თანამშრომელმა.**

2015 წლის 5 ივნისს კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისთვის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-მ გამართა სემინარი, ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მონაწილე სუბიექტების; იურისდიქციის კრიტერიუმის (ვაჭრობაზე შესამჩნევი ეფექტის განმარტება, შესაბამისი ბაზრის კონცეფცია, როგორ იწყება გამოძიება, ინპექტირება); კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების (ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები, სხვა ქმედებები), დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების; მტკიცების ტვირთისა და ჯარიმები თემაზე. **სემინარში მონაწილეობა მიიღო სააგენტოს 8 თანამშრომელმა.**

ღონისძიება 9.2.3. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 9.2.4. ჯარიმების დადგენის წესის პროექტი შემუშავებულია, თუმცა მიღებული არ არის. შესაბამისად, სამიზნის სრულად მიღწევა საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა.

ღონისძიება 9.2.5. „სსიპ - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 12 დეკემბრის N26 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 4 მარტის N31 ბრძანების შესაბამისად, **დასრულდა მოკვლევა წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლების ბაზარზე** და არ დადასტურდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევა, კერძოდ, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი;

„სსიპ - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 29 დეკემბრის N30 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 30 მარტის N40 ბრძანების შესაბამისად, **დასრულდა მოკვლევა საავტომობილო-**

¹⁵ კონფერენციაზე განხილულ იქნა მედიისა და კონკურენციის ორგანოების თანამშრომლობის, შერწყმების, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოებისა და კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულებების/შეთანხმებების/ქმედებების (ე.წ. კარტელი) საკითხები.

საკონტინენტო ტვირთების სატერმინალო მომსახურების ბაზარზე და დადასტურდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი;

„სსიპ - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 4 მარტის N32 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 აპრილის N45 ბრძანების შესაბამისად, რომელიც შეეხებოდა საპროექტო/სამშენებლო/საინჟინრო სამუშაოების შესყიდვისას სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირთა მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევას, დადასტურდა სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მხრიდან კანონის დარღვევის ფაქტი.

შედეგი 9.3. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში კეთილსინდისიერებისა და ანტიკორუფციული პროგრამები დანერგილია

ღონისძიება 9.3.1. სამიზის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 9.3.2. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 9.3.3. შემუშავებულია ანგარიშგების ახალი ფორმები, რომელიც შეიცავს როგორც ფინანსურ, ასევე ბიზნესის შესახებ ინფორმაციას. შემუშავებული ბიზნეს გეგმის უფრო დახვეწილი ფორმა იძლევა საშუალებას შევადგინოთ როგორც ფინანსური, ასევე სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბიზნესის შესახებ.

ღონისძიება 9.3.4. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 9.3.5. ტრენინგისათვის საჭირო მასალები მომზადებულია. ტრენინგის ჩატარება დაგეგმილია ივლისის პირველ ნახევარში.

ღონისძიება 9.3.6. 2015 წლის იანვარი-მაისის პერიოდში სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოთა რაოდენობა შემცირდა 38 საწარმოთი. ამასთან, ამავე წლის ივნისის მდგომარეობით მიმდინარეობდა დამატებით 25 საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოება.

ღონისძიება 9.3.7. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

შედეგი 9.4. საპრივატიზებო ობიექტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გაზრდილია

ღონისძიება 9.4.1. საპრივატიზებო ობიექტების და სხვადასხვა სერვისების შესახებ ინფორმაციის ეფექტურად გავრცელების მიზნით სააგენტოს შემუშავებული აქვს მომხმარებელთან საკომუნიკაციო არხები შესაბამისი მიზნობრივი აუდიტორიის მიხედვით. ამ სახის კომუნიკაცია ხელს უწყობს მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლებას. სააგენტოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ქვეყნის მასშტაბით და არის გამჭვირვალე საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარით გადაცემასთან დაკავშირებით მიმდინარე აუქციონების შესახებ ინფორმაციის ლოკალურ დონეზე ეფექტურად გავრცელების მიზნით, 2015 წლის პირველ ნახევარში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მოახდინა **161 380 ცალი სარეკლამო ბუკლეტის 1000-მდე სოფელში გავრცელება**. სააგენტომ ასევე უზრუნველყო: საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წევრების ინფორმირება მიმდინარე აუქციონების შესახებ.

რეგიონალური მომსახურების ცენტრებში დამონტაჟებული ვიდეო-მონიტორების საშუალებით მიმდინარეობს სააგენტოს სერვისების, პროექტებისა და საპრივატიზებო ობიექტების შესახებ დამზადებული რგოლების **ვიდეო-კოლაჟი**. მომსახურების ცენტრებში ასევე განთავსებულია სააგენტოს სერვისების შესახებ საინფორმაციო ბროშურები.

საანგარიშო პერიოდში, საინფორმაციო პორტალ **bpn.ge**-ზე სააგენტომ უზრუნველყო 108 მიმდინარე აუქციონის შესახებ **ინფორმაციის განთავსება**. აუქციონები პარალელურად ვრცელდებოდა სააგენტოს **ვებ-გვერდსა და სოციალურ მედიაში**.

როგორც თბილისში, ისე საქართველოს ყველა რეგიონში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ერთიანი ბაზის ჩამოყალიბების მიზნით, სააგენტოში 2015 წლის მარტიდან დაიწყო ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე სრულმასშტაბიანი ინვენტარიზაციის პროცესი. მოსახლეობის დაურეგისტრირებელი/აღმოჩენილი უძრავი ქონების შესახებ ინფორმირების მიზნით, სააგენტოს მიერ ხორციელდება შესაბამის ობიექტებზე შემდეგი შინაარსის ბანერების გამოკვრა: „მიმდინარეობს უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის პროცედურები“.

ღონისძიება 9.4.2. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში **გაეშვა ელექტრონული პორტალის სატესტო ვერსია**, პორტალი რეალურ რეჟიმში გაეშვა მიმდინარე წლის მეორე ნახევარში.

შედეგი 9.5. კორუფციული რისკების შემცირების მიზნით ადმინისტრაციული პროცესების ელექტრონიზაცია გრძელდება

ღონისძიება 9.5.1. ინფორმაცია აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით არ იქნა წარმოდგენილი.

შედეგი 9.6. ყოფილი საჯარო მოხელეების კერძო სექტორში გადასვლისას ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია

ღონისძიება 9.6.1. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

პრიორიტეტი 10. კორუფციის პრევენცია ჯანდაცვის და სოციალურ სექტორში

შედეგი 10.1. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში კორუფციული რისკები შეფასებულია

ღონისძიება 10.1.1. 2015 წლის 7 აპრილს გაფორმდა ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი „Global Alliance for Health and Social Compact“-თან **ჯანდაცვის სახელმწიფო**

პროგრამების შეფასების ინსტრუმენტის მომზადებასთან დაკავშირებით. აღნიშნული სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2015 წლის დეკემბრისათვის.

ლონისძიება 10.1.2. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ლონისძიება 10.1.3. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

შედეგი 10.2. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების გამჭვირვალე ადმინისტრირების მექანიზმი შემუშავებულია და მონიტორინგის მექანიზმი გაძლიერებულია

ლონისძიება 10.2.1. მომზადდა ცვლილებები ჯანმრთელობის დაცვის (დაავადებებზე ორიენტირებული) სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების მექანიზმებში, რომლებიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 30 ივნისის N308 დადგენილებით. აღნიშნული ცვლილებებით გაიმიჯნა და დაკონკრეტდა პროგრამების ზედამხედველობის, მონიტორინგისა და კონტროლის ეტაპები და მათი განმახორციელებელი ერთეულების უფლება-მოვალეობები.

ლონისძიება 10.2.2. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ადმინისტრირების მექანიზმები განახლდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 თებერვლის №79 დადგენილებით, რომლითაც შევიდა ცვლილებები „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში. აღნიშნული ცვლილებებით გაიმიჯნა და დაკონკრეტდა პროგრამის ზედამხედველობის, მონიტორინგისა და კონტროლის ეტაპები და მათი განმახორციელებელი ერთეულების უფლება-მოვალეობები.

ლონისძიება 10.2.3. 2015 წლის 7 აპრილს გაფორმდა ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი „Global Alliance for Health and Social Compact“-თან ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ინდიკატორების ჩარჩოს შემუშავებასთან დაკავშირებით. აღნიშნული სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2015 წლის დეკემბრისათვის.

შედეგი 10.4. სახელმწიფო გასაცემელების სფეროში კორუფციული რისკები შეფასებულია

ლონისძიება 10.4.1. სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგია დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით. აღნიშნული მეთოდოლოგიით სარეიტინგო ქულის გამოთვლაზე გავლენას არ ახდენს სოციალური აგენტის სუბიექტური შეფასებები. 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 აპრილამდე პერიოდში, ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებით სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) შეფასება განხორციელდა საპილოტე რეჟიმში, რომლის მონაცემების შეტანა (ასახვა) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და ამავე მეთოდოლოგიის გამოყენებით ახალი სარეიტინგო ქულის მინიჭება დაიწყო 18 მაისიდან.

შედეგი 10.5. კორუფციული რისკები შეფასებულია ბავშვზე ზრუნვის სფეროში

ღონისძიება 10.5.1. ბავშვისა და ოჯახის შეფასების ახალი ფორმები შემუშავებულია და მიმდინარეობს დამტკიცების პროცედურები.

ღონისძიება 10.5.2. შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის მარეგულირებელი კანონპროექტი მუშავდება პარლამენტის შესაბამის კომიტეტში, რომლის დასრულების შემდეგაც იგი, საპარლამენტო ინიციატივის სახით, წარედგინება საქართველოს მთავრობას განსახილველად.

პრიორიტეტი 11. პოლიტიკური კორუფციის პრევენცია

შედეგი 11.1. პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების საკითხებთან დაკავშირებული ერთგვაროვანი სამართლებრივი ბაზა ჩამოყალიბებულია OECD-ACN-ის მესამე რაუნდის შეფასების ანგარიშის 11(1) და GRECO-ს მესამე რაუნდის შესრულების შეფასების ანგარიშის i, iii, iv, viii, ix და x რეკომენდაციების გათვალისწინებით

ღონისძიება 11.1.1. სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოსა და საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგინა წინადადებები და რეკომენდაციები პარტიების ფინანსური გამჭვირვალობის ზრდის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული ითვალისწინებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში რეგულაციების დახვეწას პარტიის მიერ ანგარიშის წარდგენის წესსა და საბიუჯეტო თანხების მიზნობრივად ხარჯვის პროცესზე მონიტორინგის განხორციელების ქმედითი მექანიზმების დადგენასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში მომზადებულ იქნა ცვლილებების პროექტი GRECO-სა და OECD—ACN-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით და ორგანიზებულ იქნა კონფერენცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან მისი განხილვის მიზნით.

ღონისძიება 11.1.2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა ბრძანებების პროექტები და განხილულ იქნა ყველა დაინტერესებულ მხარესთან. განხილვების შედეგად ხელმოწერილია 1 ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს დეკლარირების წესში განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირებთან დაკავშირებით.

ღონისძიება 11.1.3. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

შედეგი 11.2. საარჩევნო სუბიექტებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და ხარჯების გამჭვირვალობა გაზრდილია და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია; მონიტორინგის მექანიზმი გაძლიერებულია

ღონისძიება 11.2.1. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრთან ერთად **მომზადებულია ცვლილებების პაკეტი** და განხილულია დანიტერესებულ მხარეებთან. პროექტი ითვალისწინებს ფონდიდან მიღებული დაფინანსების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებას, ამ მიმართულებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილების გაზრდას და დეკლარირების ვადებისა და ფორმების განსაზღვრას.

ღონისძიება 11.2.2. გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდის მიზნით მომზადებულია **შემოწირულებების საძიებო სისტემის პროექტი**, რომელიც შეთანხმებულ იქნა სამსახურის საკუთრებაში არსებული ელექტრონული პროგრამის მომსახურე დაწესებულებასთან, მაგრამ განხორციელება დაწყებული არ არის.

ღონისძიება 11.2.3. პროექტებისა და ინიციატივების განსახილველად შექმნილია **საკონსულტაციო ფორმატი**. მიმდინარე წლის მაისის თვეში შედგა **პირველი შეხვედრა**, სადაც განხილულ იქნა საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი რამდენიმე ცვლილება და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რამდენიმე ინიციატივა. კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღეს ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წამომადგენლებმა.

პრიორიტეტი 12. კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში

შედეგი 12.1. თავდაცვის სექტორში დანერგილია კორუფციული რისკების ანალიზის ეფექტიანი სისტემა

ღონისძიება 12.1.1. 2015 წლის თებერვალში შეიქმნა თავდაცვის სამინისტროს კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ანტიკორუფციული გარემოს მონიტორინგის საბჭო, რომლის მიზანია თავდაცვის სისტემაში ეფექტიანი ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარება, ანტიკორუფციული გარემოს გასაძლიერებლად წინადადებების შემუშავება; თავდაცვის სისტემაში კეთილსინდისიერების ამაღლების კუთხით სასწავლო პროგრამების განვითარების თაობაზე წინადადებების შემუშავება.

შედეგი 12.2. ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების გამართული სისტემა შექმნილია

ღონისძიება 12.2.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების სისტემის გაუმჯობესების მიზნით 2015 წლის აპრილ-მაისის თვეში თავდაცვის სამინისტროში მოქმედი ამერიკის მრჩეველთა ჯგუფის CUBIC-ის მხარდაჭერით განხორციელდა პროგრამების მართვის საორიენტაციო კურსი პროგრამის სავარაუდო კოორდინატორებისთვის.

ამასთანავე, აღნიშნული პროცესის უკეთ წარმართვის მიზნით თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ შემუშავდა თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელოს პროექტი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის კოორდინატორების, მენეჯერების და პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართული სტრუქტურული ქვედანაყოფების სახელმძღვანელო დოკუმენტს. სახელმძღვანელოს მიზანია განსაზღვროს მითითებები და რეკომენდაციები 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტის და 2017-2019 წლების პროგრამების შემუშავებისთვის. თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელოს დანართის სახით ახლავს

თავდაცვის პროგრამების შემუშავების ერთიანი ფორმა, რაც უზრუნველყოფს თითოეული პროგრამის ერთ ფორმატში მოქცევას. დოკუმენტი განხილულ იქნა რესურსების მართვის პროცესში ჩართული სტრუქტურული ქვედანაყოფების, პროგრამის სავარაუდო კოორდინატორების და სამინისტროს და შტაბის ხელმძღვანელი პირების მიერ. დოკუმენტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციები. თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელოს დამტკიცება იგეგმება ივლისის პირველ ნახევარში.

თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ყველა სტრუქტურული ერთეულის მონაწილებით დაწყებულია მუშაობა 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტზე. ხდება სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ინფორმაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საბიუჯეტო განაცხადების ანალიზი და განხილვა. მიმდინარეობს მუშაობა დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დონისძიება 12.2.2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მატერიალური რესურსების მართვის სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა თავდაცვის პროგრამული სტრუქტურა, რომელიც შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით განსაზღვრავს საბიუჯეტო წლის სავარაუდო პროგრამებს, ქვეპროგრამებს და პროგრამულ ელემენტებს.

მატერიალური რესურსების მართვის სისტემის გამჭვირვალობის დონის ამაღლების და არსებული შეზღუდული ფინანსური რესურსების მაქსიმალურ ეფექტურად გამოყენების მიზნით დაწყებულია „თავდაცვის ინტეგრირებული პროგრამის“ პროექტის შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2016 საბიუჯეტო წლის და 2017-2019 მომდევნო წლების პროგრამების ერთობლიობას და მათ ფინანსურ მოთხოვნებს, რომელიც მიზნად ისახავს თავდაცვის სამინისტროს 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების მხარდაჭერას. დოკუმენტი ითვალისწინებს თავდაცვის სამინისტროს არსებული შესაძლებლობების შენარჩუნებას და პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებას.

დაწყებულია ქვედანაყოფებში თავდაცვის სამინისტროზე მორგებული ახალი სახელფასე პროგრამის დანერგვა. დასრულების სტადიაშია თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების მხარჯავ დაწესებულებებად ჩამოყალიბების პროცესი, ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით განხორციელდა მათთვის საბიუჯეტო კოდების გახსნა. ქვედანაყოფებს ყოველი თვის დასაწყისში მიეცემათ გეგმები დადგენილი ხარჯების გაწვევისათვის. აღნიშნული კუთხით მზადდება თავდაცვის მინისტრის ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს ახალ სამართლებრივ ურთიერთობებს. თავდაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებულ იქნა შესაბამისი ცვლილება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 05.04.2015 წლის №220 ბრძანებაში, რითაც მოწესრიგდა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მოვლინებული თავდაცვის ატაშეების, საქართველოს თავდაცვის

სამინისტროს წარმომადგენლებისა და მათი აპარატების თანამდებობის პირთა გრძელვადიანი მივლინების ხარჯების დაბეგვრისაგან გათავისუფლების საკითხი.

დაგეგმილია ცვლილება ატაშეების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისა და მათი აპარატების თანამდებობის პირთა გრძელვადიანი მივლინების დაფინანსების სისტემაში, კერძოდ ხარჯების გამიჯვნა - სამსახურებრივი დანიშნულების და შენახვის ხარჯებად. მიმდინარეობს მუშაობა მატერიალური და ფინანსური სახსრების აღრიცხვის ერთიან სისტემაში მოქცევის მიმართულებით.

შედეგი 12.3. საპარლამენტო ზედამხედველობა გაზრდილია

ღონისძიება 12.3.1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობით ჩატარდა 8 პლენარული სხდომა და 21 საკომიტეტო მოსმენა.

ღონისძიება 12.3.2. საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობით ჩატარდა ნდობის ჯგუფის სხდომა, ასევე საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოსმენა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში. თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს შორის ურთიერთანამშრომლობის მექანიზმების დახვეწასთან დაკავშირებით განხორციელდა კვლევა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

შედეგი 12.4. თავდაცვის სამინისტროს შიდა მაკონტროლებელი სტრუქტურული ერთეულების ეფექტიანობა გაზრდილია

ღონისძიება 12.4.1. შიდა აუდიტის დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, პროფესიული განვითარების მიმართულებით, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

საზღვარგარეთ:

- დეპარტამენტის შიდა აუდიტორმა ნატოს ერთ თვიან კურსზე (ქ. ბრაშოვი, რუმინეთი) შეისწავლა დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტირებისა და შეფასების სისტემა;
- შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გაეცნო ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მეთოდებს IT აუდიტის ტრენინგზე (ქ. ლუბლიანა, სლოვენია), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ხელშეწყობით.

ადგილობრივი:

- შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2 თანამშრომელი დაესწრო შიდა აუდიტის საფუძვლების ოთხდღიან ტრენინგს (GIZ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის ორგანიზებით);

- შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2 თანამშრომელი დაესწრო სისტემური აუდიტის სამდღიან ტრენინგს (GIZ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის ორგანიზებით);
- შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ გაიარა პროექტების მართვის კურსი (ნატოს სამეკავშირეო ოფისის ორგანიზებით);
- შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი დაესწრო ტრენინგების ტრენინგს (ToT) (ჰარმონიზაციის ცენტრისა და GIZ-ის ორგანიზებით).
- შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი მონაწილეობს ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო პოლიტიკის საკითხებზე სასწავლო პროგრამაში (GFSIS-ის ორგანიზებით);
- ერთი შიდა აუდიტორი დაესწრო სამინისტროს შიდა სალექციო კურსს „საინფორმაციო ომი და მანიპულაციის მეთოდები“.

შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარება: დასრულდა სისტემური პილოტური აუდიტი, რომელშიც ექსპერტის სახით მონაწილეობდა უცხოელი კონსულტანტი (ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრისა და GIZ-ის მხარდაჭერით). შიდა აუდიტის ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაციები, რომლის შესაბამისადაც შიდა აუდიტის ობიექტების მიერ შემუშავდა რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა. მიმდინარეობს მეორე შიდა აუდიტორული შემოწმების მოსამზადებელი ეტაპი.

ღონისძიება 12.4.2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელდა შიდა აუდიტის, გენერალური ინსპექციის, გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის და გენერალური შტაბის საბრძოლო მზადყოფნის მონიტორინგის სამმართველოს უფლება-მოვალეობები მკაფიოდ გაწერა და გამიჯვნა. მიმდინარეობს თანამშრომლობის ფორმატის დახვეწა.

შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულების პროექტი განახლებულია, თუმცა ჯერ დამტკიცებული არ არის.

გენერალური ინსპექციის დებულებაში იგეგმება გარკვეული ცვლილებები, თუმცა იმპლემენტაციის პროცესი დაწყებული არ არის. ამ პროცესში, სახელმძღვანელო ორიენტირად კვლავაც რჩება გენერალური ინსპექციის უფლება-მოვალეობების სამინისტროს სისტემაში მოქმედი სხვა მაკონტროლებლებისაგან გამიჯვნის პრინციპი.

შიდა მაკონტროლებლების ურთიერთთანამშრომლობის ფორმატზე გამოცდილების გაზიარების და შიდა აუდიტისა და ინსპექტირების ფუნქციების განმახორციელებელი ერთეულების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, ჩეხეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში განხორციელდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და გენერალური ინსპექციის თანამშრომლების ვიზიტი.

ასევე წარმატებით ვითარდება თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების, ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის გენერალური ინსპექციის ოფისთან. ამერიკულ მხარესთან

მიმდინარეობს კონსულტაციები, მიმდინარე წლის ივლისის თვეში, ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის გენერალური ინსპექციის წარმომადგენელთა საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით, ხოლო წლის მეორე ნახევარში იგეგმება თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმომადგენელთა საპასუხო ვიზიტი აშშ-ში. აღნიშნული ურთიერთობების მიზანია, შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით არსებული სტანდარტების, დაგროვილი ინსტიტუციური გამოცდილების გაზიარება და შემდგომი პერსპექტივების განსაზღვრა ყოველდღიურ საქმიანობაში დასანერგად.

სამხედრო პოლიციის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების კუთხით საერთაშორისო დონის კურსის ჩატარება - არ შესრულდა, განხორციელების პროცესი - არ დაწყებულა.

შედეგი 12.5. შესყიდვების სფეროში კორუფციული რისკები შემცირებულია

ღონისძიება 12.5.1. სტანდარტიზაციის და კოდიფიკაციის სისტემა შემუშავებულია.

ღონისძიება 12.5.2. ელექტრონული შესყიდვების განხორციელების რაოდენობრივი ზრდის მიზნით შიდაუწყებრივი კოორდინაციის სისტემა დახვეწილია. წინა წლებთან შედარებით აღსანიშნავა ღია ელექტრონული შესყიდვების მნიშვნელოვანი რაოდენობრივი ზრდა. 2015 წლის 22 ივნისის ჩათვლით, ერთიანი ელექტრონული სისტემის მონაცემების შესაბამისად, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, გამოცხადებულია 418 ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ჯამური ღირებულებით - 34 842 990 ლარი. გაფორმებულია 144 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით - 16 646 594 ლარი. მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა - 735 145 ლარი.

შედეგი 12.6. თავდაცვის სისტემის პერსონალის ცნობიერება კორუფციის, მისი გამომწვევი მიზეზების, შედეგებისა და პრევენციის გზების შესახებ ამაღლებულია

ღონისძიება 12.6.1. 2015 წლის თებერვალში გეგმის შესაბამისად ჩატარდა „კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციული რისკების შემცირების“ მესამე კურსი. რაც შეეხება მათში დაგეგმილ „კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციული რისკების შემცირების კურსს“ ფართო უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებისათვის, ხსენებული კურსის ჩატარება გადაიდო მიმდინარე წლის მეორე ნახევრისთვის, თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციის გამო.

ღონისძიება 12.6.2. ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესიული განვითარების ცენტრის ბაზაზე ანტიკორუფციული სწავლების განყოფილების შექმნის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები გადაიდო. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ცენტრის ბაზაზე უახლოეს მომავალში იგეგმება ნატო-სთან თანამშრომლობის გაძლიერებული პაკეტის ფარგლებში თავდაცვის ინსტიტუციური განვითარების (DIB) სკოლის შექმნა, რომლის სავარაუდო სტრუქტურაში გათვალისწინებულია ანტიკორუფციული სწავლების

განყოფილების ჩამოყალიბება, შესაბამისად აღნიშნული აქტივობის განხორციელება მოხდება ხსენებული სკოლის ჩამოყალიბების პროცესის პარალელურად.

ღონისძიება 12.6.3. სამხედრო ოპერაციების დროს კორუფციული რისკების შესახებ სპეციალური გადასროლის წინა სწავლება ჩატარდა მე-3 ბრიგადის, 31-ე ბატალიონის, მსუბუქ ქვეით ასეულთან. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გეგმის შესაბამისად მსგავსი სწავლება ჩატარდება ყველა სამხედრო შენაერთს, რომელიც საერთაშორისო სამხედრო ოპერაციებში იღებს მონაწილეობას.

ივნისში დაგეგმილი იყო ტრენინგი ტრენერებისთვის, რომელიც გადაიდო თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის ცვლილებით გამოწვეული რეორგანიზაციის გამო და ჩატარდება უახლოეს მომავალში.

შედეგი 12.7. თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმების ეფექტიანობა გაზრდილია; თავდაცვის სექტორის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ნდობა შენარჩუნებულია

ღონისძიება 12.7.1. თავდაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში 2015 წელს ჩატარდა 6 შეხვედრა. შეხვედრების ფარგლებში მოხდა არასამთავრობო სექტორის ინფორმირება თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილ მოვლენებთან დაკავშირებით.

ღონისძიება 12.7.2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე შექმნა "ელექტრონული ინფორმაციის გამოთხოვის" სივრცე. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა და მუდმივი განახლების მექანიზმები დახვეწილია, მუდმივ რეჟიმში ხორციელდება განახლება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია არ შემუშავებულა, რადგანაც საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტი გადაკეთდა მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოდ.

შემუშავდა „თეთრი წიგნი“, რომელიც არის სამინისტროს წლიურ საქმიანობის დეტალური ანგარიში. მასში მოცემულია ქვეყნის უსაფრთხოების წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი საფრთხეები და გამოწვევები; საქართველოს შეიარაღებული ძალების დანიშნულება, სტრუქტურა, თავდაცვის რესურსების მართვის საკითხები, არსებული სამართლებრივი და კონცეპტუალური ჩარჩოები. დოკუმენტი მიმოიხილავს სამინისტროს მიერ წლის განმავლობაში წარმატებით განხორციელებულ აქტივობებს და სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებს. დოკუმენტის შემუშავება ხდება ყოველწლიურად. დოკუმენტის გამოცემა გათვალისწინებული იყო დონორების დაფინანსების მოძიებით, რადგანაც დაფინანსება ვერ განხორციელდა დოკუმენტი აიტვირთება თავდაცვის სამინისტროს ვებ გვერდზე.

პრიორიტეტი 13. კორუფციის პრევენცია დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოებში

შედეგი 13.1 დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლების დანიშვნის, დაწინაურებისა და გათავისუფლების პროცედურები დახვეწილია; ანაზღაურების გამჭვირვალე სისტემა დანერგილია

ღონისძიება 13.1.1. კომისიის 2015 წლის 12 ივნისის N345/22 გადაწყვეტილებით გამოცხადებულია ტენდერი კომისიის სტრუქტურული რეორგანიზაციის მიზნით, რომლის ფარგლებში გამარჯვებული კომპანია ვალდებული იქნება შეიმუშავოს ახალი სტრუქტურა და საშტატო ნუსხა.

ღონისძიება 13.2.2. კომისიის 2015 წლის 12 ივნისის N345/22 გადაწყვეტილებით გამოცხადებულია ტენდერი კომისიის სტრუქტურული რეორგანიზაციის მიზნით, რომლის ფარგლებში გამარჯვებული კომპანია ვალდებული იქნება შეიმუშავოს ახალი სტრუქტურა და საშტატო ნუსხა.

შედეგი 13.2 დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა გაზრდილია

ღონისძიება 13.2.1. პასუხისმგებელ უწყებას ინფორმაცია სამიზნესთან დაკავშირებით არ მოუწოდებია

ღონისძიება 13.2.2. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 13.2.3. ახალი ვებ გვერდი გაშვებულია და ვებ გვერდის განახლება ხდება რეგულარულად; ინფორმაციის განახლება მუდმივად მიმდინარეობს.

ღონისძიება 13.2.4. ანგარიში დამტკიცებულია მარტის ბოლოს, აუდიტის დასკვნა მომზადებულია და განთავსებულია ვებ-გვერდზე.

კომისიის 2014 წლის წლიური ანგარიში განთავსებულია ვებ გვერდზე

ღონისძიება 13.2.5. კომისიის ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განთავსებულია ვებ-გვერდზე.

შედეგი 13.3. ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმები დახვეწილია და მათი იმპლემენტაცია უზრუნველყოფილია

ღონისძიება 13.3.1. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 13.3.2. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 13.3.3. სამიზნესთან მიმართებაში აქტივობები არ განხორციელებულა.

შედეგი 13.4. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტი გაძლიერებულია

ღონისძიება 13.4.1. ამ გეგმით დასახული 13.4.1 და 13.4.2 პრიორიტეტების განხორციელებაზე დაწყებულია შესაბამისი სამუშაოები. კერძოდ, ივლისის თვიდან იგეგმება პარტნიორ

არასამთავრობო ორგანიზაციასთან მუშაობა კანონში ცვლილებელის განხორციელების მიზნით, რაც სრულად ამოწურავს არსებულ საკითხებს.

მიმდინარეობს ოფისის მოძიება კახეთის რეგიონში.

ღონისძიება 13.4.2. საზოგადოებრივი დამცველის მიერ მოხდა თანაშემწეთა თანამდებობრივი ინსტრუქციების შემუშავება სპეციალობებისა და მიმართულებების შესაბამისად. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწეთა შერჩევის ღია და გამჭვირვალე საკონკურსო პროცედურები არ არის შემუშავებული. 2015 წლის პირველ კვარტალში უზრუნველყოფილ იქნა საზოგადოებრივი დამცველის დამატებით ერთი თანაშემწის განწესება.

ღონისძიება 13.4.3. 2014 მარტში, კანონით დადგენილ ვადაში, ენერგომზდსმენის აპარატმა წარადგინა გასული წლის საანგარიშო მოხსენება, გაიმართა ოფიციალური პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მედია და დაინტერესებული მოქალაქეები. ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა ქ.თბილისში და ქ. თელავში. ჩატარდა მომხმარებელთა უფლებების კვირეული მარტში მომხმარებელთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, გაიმართა არაერთი აქტივობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. შეძენილია განახლებული ვებ-გვერდი, რომელიც უახლოეს დღეებში დაიწყებს მუშაობას. ამ დრომდე არსებობდა მხოლოდ ტექნიკური პრობლემები. განხორციელდა გაფართოებული შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოებასთან შიდა ქართლში, ქ. ქუთაისში, ქ.თელავსა და ქ.სიღნაღში მომხმარებელთა უფლებების თემაზე, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამ დროისათვის კახეთის გუბერნიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება კახეთის რეგიონული თანაშემწისთვის ოფისის გამოყოფის მიზნით.

II. კორუფციის კრიმინალიზაცია, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა

შედეგი 1. კორუფციის ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა უზრუნველყოფილია

ღონისძიება 1.1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის N64 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის დებულება, რომლის თანახმადაც საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეიქმნა კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო, რომელშიც დასაქმებული პროკურორები და გამომძიებლებიც საქმიანობას განახორციელებენ უშუალოდ კორუფციულ დანაშაულებთან მიმართებით.

კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს მიზნებია: კორუფციულ და კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულების ფაქტებზე სრული და მოცულობით გამოძიების წარმოება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება; სამმართველოს მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება; სამმართველოს მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის

საქმეებზე სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა; ქვეყანაში კორუფციული ან კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის გაანალიზება და რეკომენდაციების შემუშავება; კორუფციული ან კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით წინადადებების შემუშავება და სხვ.

ღონისძიება 1.2. ანტიკორუფციული სააგენტოს ოთხ თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი დანაშაულით მოპოვებული ქონების დაბრუნების, ფულის გათეთრების; ვიზალიზერალიზაციისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებში;

ტრენინგის მიზანი იყო: საქართველოსა და ევროკავშირის შორის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის განსახორციელებლად დაწყებული ევროკავშირის რეკომენდაციების ინპლემენტაციის პერიოდში სხვადასხვა სასწავლო ტრენინგების განხორციელება. ტრენინგის პერიოდში განხილულ იქნა: პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები, მონაცემთა ბაზები და მათზე წვდომა, საგამოძიებო უწყებათა ქვემდებარეობის საკითხი, საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში, ორგანიზებული დანაშაული, ორგანიზებული დანაშაულის კავშირი/ზმა ფინანსურ დანაშაულთან, დამნაშავეთა და სარგებლის მიძღვრული იდენტიფიცირება, ასევე დაწვრილებით იქნა განხილული ფულის გათეთრების დანაშაულის გამოძიების სპეციფიკაცია და მეთოდოლოგია.

ღონისძიება 1.3. დონორი ორგანიზაციიდან დაფინანსების არქონის გამო ეფექტური კომუნიკაციის საკითხებში ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლების ტრენინგთან მიმართებაში ღონისძიებები არ განხორციელებულა.

ღონისძიება 1.4. ტრენინგ გეგმა „კორუფცია და სამოხელეო დანაშაული“ შემუშავებულია და ასახულია შსს აკადემიის განხორციელებად შემდეგ პროგრამებში:

- მესაზღვრე-კონტროლიორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- უზნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი;
- დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი;
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

საანგარიშო პერიოდში მომზადებული/გადამზადებულია შს სამინისტროში მისაღები და მოქმედი 738 თანამშრომელი, 32 ჯგუფი.

ღონისძიება 1.5. 2015 წლის აპრილი-მაისის თვეებში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საგამოძიებო სამსახურის **82 თანამშრომელს ჩაუტარდა კურსები** შემდეგ თემატიკაზე: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სისხლის სამართლის პროცესი, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი, საგადასახადო კანონმდებლობა, ფინანსური აუდიტი, სახელმწიფო ბიუჯეტი, პერსონალური მონაცემების დაცვა.

2015 წლის მარტის თვესა და ასევე თებერვალში აშშ-ს საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიურო (INL) ჩატარებულ ფულის გათეთრების საგამოძიებო კურსს დაესწრო საგამოძიებო სამსახურის **4 თანამშრომელი**;

2015 წლის მაისში საგამოძიებო სამსახურის **სამი თანამშრომელი დაესწრო** იტალიაში, Guardia Di Finanza-ში **ფინანსური დანაშაულების ეფექტური გამოძიების სამკვირიან კურსს**.

2015 წლის 29-30 ივნისს ევროსაბჭოს ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ორგანიზებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურთან თანამშრომლობით ევროკავშირის წევრი ქვეყნების ექსპერტების მიერ ჩატარდება ვორქშოპი თემაზე "Financial and criminal intelligence as a key element for fight against tax evasion" ("ფინანსური და კრიმინალური დაზვერვა როგორც გადასახადებისგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი ელემენტი").

შედეგი 2. იურიდიული პირების პასუხისმგებლობის მექანიზმი ეფექტიანად მუშაობს პრაქტიკაში

ღონისძიება 2.1. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 2.2. შსს აკადემიის პროგრამებში ასახულია "კორუფცია და სამოხელეო დანაშაული" მოდული და ამ საკითხთან დაკავშირებით მომზადებული/გადამზადებულია 732 თანამშრომელი (32 ჯგუფი).

შედეგი 3. სამართალდამცავ ორგანოებში ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები გაუმჯობესებულია

ღონისძიება 3.1. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 3.2. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება 3.3. სამიზნის მიღწევა საანგარიშო პერიოდში არ იყო გათვალისწინებული.

შედეგი 4. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან

ღონისძიება 4.1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების პროექტი *ქმედითი მონაწილის მექანიზმის*

გამოყენების შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებების დამტკიცების თაობაზე. სახელმძღვანელო მითითებები განსაზღვრავს პროკურორების მიერ ქმედითი მონაწილების მექანიზმის გამოყენების საფუძვლებსა და პროცედურებს, უზრუნველყოფს ქმედითი მონაწილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებასა და შესაბამისი გარანტიების არსებობას.

სახელმძღვანელო მითითებები ითვალისწინებს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ნაწილობრივ ან მთლიანად გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

ლონისძიება 4.2 და ლონისძიება 4.3. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბჭოს სამდივნოს კოორდინაციით გადაისინჯა *სისხლის სამართლის კოდექსი (ზოგადი და კერძო ნაწილები)* და ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესაბამისად პროექტში გადაისინჯა ქრთამის აღებისთვის სასჯელი OECD-ACN-ის რეკომენდაციის შესაბამისად და ასევე კოდექსის 182-ე მუხლში აისახა იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

ლონისძიება 4.4. კანონპროექტი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მომზადებულია სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ. კანონპროექტის თანახმად, გათვალისწინებულია *ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების შესაბამისად „პოლიტიკურად აქტიური პირის“ დეფინიციის* და ასეთ პირებთან დაკავშირებით მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ შესაბამისი ღონისძიებების სამართლებრივი რეგულირების შემდგომი სრულყოფა.

შედეგი 5. კორუფციის ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობა გაძლიერებულია

ლონისძიება 5.1. *„ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მესამე დამატებითი ოქმის საქართველოს შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაციის* მიზნით, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების პაკეტი. ასევე, შეიმუშავებულია „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპული კონვენციის მესამე დამატებით ოქმზე საქართველოს მიერ გასაკეთებელი *დეკლარაციებისა და დათქმის პროექტები.*

ლონისძიება 5.2. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად *შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპების პროექტი* მსჯავრდებულთა მოქალაქეობის სახელმწიფოში სასჯელის მოხდის მიზნით გადაყვანის/გადმოყვანის საკითხებთან დაკავშირებით, რომლის საბოლოო ვერსიაზეც შეთანხმება მოხდება იუსტიციის სამინისტროსთან და იგი უახლოს პერიოდში წარედგინება იუსტიციის მინისტრს.

ღონისძიება 5.3. საქართველოს მთავარმა პროკურატურაში მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში არსებული *სამართლებრივი ბაზის კვლევა*.

დანართი: ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩარჩო